645
1974

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

თებერვალი
№ 2 1974 წ.



ეროვნული ბიბლიოთეკა



მიჭისხევის მეფრინველეობის ფერმა

ფოტო დ. იაკობაშვილისა

"საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვპასუხობთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები განამტკიცებენ მიღწეულ წარმატებებს და 1974 წელს სამშობლოს გაახარებენ კარგი მოსავლით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებით. უმეტესი ეფექტიანობით გამოიყენებენ თითოეულ ჰექტარ მიწას, თითოეულ მანქანას, მუშათა კლასთან ერთად გადადგამენ ახალ ნაბიჯს სოფლის მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების გზაზე“.



სარძევე განყოფილება. ქურჭლის სანიტარული დამუშავება.

**ამ ისტორიული მიმართვის საპასუხოდ შრომობს დღეს ტინისხიდის საკოლმეურნეობათაშორისო საჯიშე-სანაშენე მეურნეობაში ყველა მშრომელი. ის წარმატებები, რასაც დღეს ტინისხიდელებმა მიაღწიეს, რა თქმა უნდა, საბოლოო არ არის. გამოუყენებელი რეზერვების გამოყენების ახალ გზებს და საშუალებებს ეძებენ საკოლმეურნეობათაშორისო წარმოებითი კავშირის წევრები.**

12403

# საკოლ-მეურნე-ობათა-შორისო

გორის რაიონში სოფელი ტინისხიდი არაფრით არ გამოირჩეოდა ქართლის სხვა სოფლებისაგან. კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი არ აღემატებოდა 60-100 ათას მანეთს. ტინისხიდელი კაცის სარჩო-საბადებელი იყო ბოსტანი, ცოტაოდენი მარცვლეული და აქა-იქ მიმოფანტული ქიწნურას ვენახი... ბოლოს კი ბამბეულის კომბინატში ჩამოივაკეს ტინისხიდელებმა.

აშკარად უჭირდა კოლმეურნეობას და ტინისხიდელ კაცსაც. სოფელს 1.361 ჰექტარი სავარგული აქვს, გვერდით მტკვარი ჩაუდის, მაგრამ სარწყავი ძალზე მცირეა. მიწა ლალიანია, მაგრამ ჰირდა მაინც. საჭირო იყო ამ სიკეთის გონივრული გამოყენება, მაგრამ როგორ?

სასოფლო-სამეურნეო წარმოების განზოგადების პროცესის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა საკოლმეურნეობათაშორისო წარმოებითი კავშირების განვითარება. საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანების სიკეთე ის არის, რომ იგი აჩქარებს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების განვითარებისა და სპეციალიზაციის გაღრმავების პროცესს, ხელს უწყობს საკოლმეურნეო წარმოების კონცენტრაციას, აფართოებს წარმოებით კავშირებსა და ეკონომიურ ურთიერთობას, როგორც კოლმეურნეობებს, ისე კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო საწარმოებს შორის. ერთი კოლმეურნეობის საკუთრების მასშტაბი და საშუალებები ცხადია რამდენადმე ზღუდავს გაფართოებულ კვლავწარმოებას, ხოლო ორი ან რამდენიმე კოლმეურნეობის ძალების წინასწარ განსაზღვრული წარმოებითი მიზნით გაერთიანება ამ დაბრკოლების წარმატებით დაძლევის სა-



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

შუალებას იძლევა. ასეთ პირობებში უკეთ გამოიყენება ბუნებრივი რესურსები, მაღალია შრომის ორგანიზაცია, ეკონომიური მაჩვენებლები, ნაკლები დანახარჯებით მიიღება მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

საკოლმეურნეობათაშორისო წარმოებითი გაერთიანებების შექმნის ისტორია 1954-1956 წლებს უკავშირდება. ჩვენს რესპუბლიკაში 1956 წელს შეიქმნა პირველი საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებები კასპისა და ბოლნისის რაიონებში. 1960 წლისათვის საქართველოში უკვე 44 საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანება იყო, რომელთა საერთო მოგებამ 783,8 ათას მანეთს გადააჭარბა.

გორის რაიონში 1965 წელს შეიქმნა საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებანი, როგორიცაა, მაგალითად, საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკა, რომლის სამეურნეო შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეფრინველეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა, შემცირდა თვითღირებულება. 1965 წელს ახროსში ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირში პირველი საკოლმეურნეობათაშორისო მევენახეობის მეურნეობა, სადაც პირველსავე წელს გაშენებულ იქნა 145 ჰექტარი ვენახი. თუ ახროსში 1962 წელს ჰექტარზე მიიღეს 3,8 ცენტნერი ყურძენი, 1970 წელს — 39,5 ცენტნერი იქნა მიღებული.

საკოლმეურნეობათაშორისო გაერთიანებების სიკეთე უკვე პრაქტიკულ რეალობად იქცა. საჭირო იყო სხვა დარგებშიც შექმნილიყო ასეთი გაერთიანებანი, პირველ რიგში კი მეცხოველეობაში. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ნათლად არის ხაზგასმული, რომ მეცხოველეობის დარგის ამაღლობისა და პროდუქტიულობის გაზრდის დაჩქარების რეალური გზაა მსხვილი საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსების შექმნა სამრეწველო საფუძველზე. ამიტომაც უფრო ადრე მომწიფდა აზრი 1967 წელს ტინისხიდის ჩამორჩენილი კოლმეურნეობის ბაზაზე შექმნილიყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე-სანაშენე მეურნეობა. გაერთიანების შექმნის ძირითად მიზანს წარმოადგენდა რაიონში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდა, მისი თვითღირებულების შემცირება, გორისა და გორის რაიონის მშრომელების შეუფერხებელი მომარაგება მოუხდელი რძით, რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება და შევსება ადგილზე გამოზრდილი ჯიშიანი მოზარდით.

მეცხოველეობის ვეებერთელა კომპლექსის მშენებლობა დაიწყო მარტის თვეში. სარეკორდო ვადაში აშენდა და ექსპლოატაციაში შევიდა ოთხი საძროხე 800 სულ ფურზე, სარძევე განყოფილება, სახბორე-სამშობიარო, საკვებსამზარეულო, საქვაბე, საყოფაცხოვრებო ნაგებობანი და სხვა. შემოყვანილ იქნა ლებედინის ჯიშის 320 სული დეკეული და ბუღა-მწარმოებელი.

1967 წელს ტინისხიდის კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა რძის წარმოების გეგმა, თითოეულ ფურზე მიიღო მხოლოდ 659 კილოგრამი რძე, ყოველ ას ძროხაზე ნამატმა შეადგინა 56 ხბო, დამზადებულ იქნა 3210 ცენტნერი უხეში საკვები და 4305 ცენტნერი სილოსი. ვერ შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის დავალება. კოლმეურნეობას ძალიან ძვირი დაუჯდა პროდუქციის წარმოება: ცენტნერი რძე, ნაცვლად 29,19 მანეთისა, 38,5 მანეთი დაჯდა, ხოლო ხორცი — 254,19 მანეთის ნაცვლად, 342,78 მანეთი. შვიდჯერ მეტი დაუჯდათ თივის წარმოება, საკვების დანახარჯები ყოველ ცენტნერ პროდუქციაზე გაიზარდა სამჯერ მეტად.

1968 წელი ტინისხიდის საკოლმეურნეობათაშორისო საჯიშე-სანაშენე მეურნეობის დაბადების წელია. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ყველა დავალება: 2 000 ცენტნერის ნაცვლად წარმოებულ იქნა 2553 ცენტნერი რძე, თითოეული ფურიდან ჩამოწველეს 2812 კილოგრამი რძე, ყველა დროის უმაღლესი მაჩვენებელი რაიონში. ცენტნერი რძე დაუჯდათ 20 მანეთი და ათი კაპიკი. წარმოებულ იქნა 838 ცენტნერი ხორცი. ტინისხიდელებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს.

ნელა, მაგრამ მტკიცედ ყალიბდებოდა კოლექტივი, უმჯობესდებოდა პირუტყვის მოვლა-პატრონობა, რადიკალური ნაბიჯები გადაიდგა საკვები ბაზის განსამტკიცებლად, რადგან სწორედ აქ იყო სათავე პროდუქციის გაძვირებისა. მონდომებამ, წლებმა, გამოცდილებამ თავისი გაიტანეს. მეურნეობა წელში გაიმართა. შედეგებმაც არ დააყოვნა. ამჟამად 1.150 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ჰყავთ ტინისხიდში, აქედან 490 ძროხაა. გასული წლის ათ თვეში წარმოებულია 8.178 ცენტნერი რძე და 538,9 ცენტნერი ხორცი, თვითეულ ფურზე მიღებულია 1.904 კილოგრამი რძე, ხოლო ნამატმა ყოველ 100 ძროხაზე შეადგინა 73.

შარშან დამზადებულ იქნა 10.050 ცენტნერი უხეში საკვები, 12.000 ცენტნერი სენაჟი, 15.000 ცენტნერი სილოსი, 12.000 ტონა საკვები ჭარხალი, 5.483 ცენტნერი მწვანე საკვები. სახელმწიფოს 1967 წელთან შედარებით 7.192 ცენტნერით მეტი რძე და 630 ცენტნერით მეტი ხორცი მიეყიდა. ცენტნერი რძის ღირებულება დაჯდა 18,36, ხოლო ხორცისა — 202,67 მანეთი, ყოველ ცენტნერ პროდუქციაზე სანახევროდ შემცირდა საკვები ერთეულების დანახარჯები.

ტინისხიდში თითქოს არაფერი არ შეცვლილა: ისევ ის სოფელი, ისევ ის სავარგულები; შეიცვალა მხოლოდ შრომის ორგანიზაცია, მომთხოვნელობა, ამაღლდა დისციპლინა, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, სულ უფრო მკვეთრად იგრძნობა კომუნისტების ავანგარდული ძალა. მეურნეობაში მექანიზებულია ყველა ძირითადი პროცესი: საკვების შემზადება, დარიგება, წველა, ნაკელის გატანა, დაწყლულება, პირუტყვის აშვება საკვებურებიდან, შენობის გათბობა-განიავება, საწველი აპარატების რეცხვა. მეურნეობას ემსახურება მძლავრი ტექნიკა. პირუტყვს საკვები ეძლევა ყოველმხრივ შემზადებული: უხეში საკვები ქუცმაცდება, ძირხვენები ირეცხება, ემატება კონცენტრული საკვები და ბადაგი, ორთქლდება და სპეციალური დამრიგებლით მიდის პირუტყვთან. გასულ წელს ათვისებული იქნა ბალახის ამღები მანქანა, რომელმაც ყოველდღიურად გამოათავისუფლა 10 კაცი. მარტო ამ მანქანით მიღებულია 1.200 კაცდღე ეკონომია, რაც თანხებში 3.000 მანეთს შეადგენს (მანქანის ღირებულება კი სულ 400 მანეთია).

გასულ წელს ათვისებულ იქნა სილოსის და სენაჟის დამტვირთავი მოწყობილობა, რის შედეგადაც მიღებულია 2.500 მანეთი წლიური ეკონომია.

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვამ. მაგალითად, ერთ ცენტნერ წონა ნამატზე დახარჯულია 6 საკვები ერთეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 13 ერთეულისა. საკვები ერთეულების დანახარჯების შემცირება ერთეული პროდუქციის წარმოებაზე ძირითადად განპირობებულია საკვების ხარისხის გაუმჯობესებით, კერძოდ, მასში მონელებადი პროტეინების შემცველობის გადიდებით.

ტინისხიდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საჯიშე-სანაშენე მეურნეობა მაინც არ არის მერძეულობის მიმართულების. ლებედინის ჯიშის პირუტყვი უფრო მეხორციული მიმართულებისაა. გათვალისწინებულია მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონიდან 300 სული შავ-ჭრელი ჯიშის დეკეულის შემოყვანა. ეს საშუალებას მისცემს მეურნეობას 800 სული ფურიდან თითოეულზე მიიღოს 3 000 კილოგრამი რძე და რძის წარმოება აიყვანოს 2.400-2.500 ტონამდე.

1972 წელს მეურნეობამ მიიღო 486.005 მანეთი შემოსავალი, გასული წლის 11 თვეში კი 490.000 მანეთისა (გაიხსენეთ ტინისხიდის კოლმეურნეობის წლიური შემოსავალი: 60-100 ათასი მანეთი). ასეთია საკოლმეურნეობათაშორისო წარმოებითი გაერთიანების დიდი უპირატესობა.

და მაინც ყველა მიღწევის შემოქმედნი ადამიანები არიან, ის ადამიანები, რომლებმაც ეს უპირატესობანი რეალობად აქციეს. ეს პირველ რიგში ეხებათ მწყემსებს, მწველავებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებს, კომუნისტებს, მეურნეობის ხელმძღვანელობას.

დიდი ხანია ტინისხიდში მწველავად მუშაობს ლენინის ორდენოსანი მაგალო ყულუმბეგაშვილი. იგი 22 ფურს უვლის და თითოეულ ფურზე უკვე მიიღო 2 182 კილოგრამი რძე; მარიამ გაზაშვილმა 24 ფურიდან ჩამოწველა 46.934 კილოგრამი რძე,

თითოეული ფურიდან — 1955 კილოგრამი. მარიამ გაზაშვილიც ლენინის ორდენის კავალერია. მოწინავე მწველავებს მხარს უსწორებენ: ევა ხაჩირაშვილი, ზოია ქოქაშვილი, მერი მურადაშვილი, სიდო ქოქაშვილი და სხვები. აქ ზოოტექნიკოსად მუშაობს კომუნისტი ნინო ზურაბაშვილი, თავისი საქმის ენთუზიასტი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი. მეურნეობის ყველა კუთხე-კუნჭულს, ყოველ ციფრს კარგად იცნობს და ჩაჰკირკიტებს მთავარი ეკონომისტი გულნარა მარკოზაშვილი.

შრომის ავანგარდში კომუნისტები არიან. სასახელოდ შრომობენ და საუკეთესო მაგალითს იძლევიან კომუნისტები: მერი ანიაშვილი, ალექსანდრა იორამაშვილი, სტეფანე პუჯყიანი, რევაზ დავითელაშვილი, რევაზ ივანიშვილი და სხვები.

ტინისხიდის საკოლმეურნეობათაშორისო საქოშე-სანაშენე მეურნეობას უნარიანად უძღვება ახალგაზრდა მზარდი სპეციალისტი თამაზ ტუხიაშვილი, რომელმაც გაიარა ძნელი გზა რიგითი მუშაკიდან დირექტორობამდე.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტებზე. ეს კარგად ესმით გორის რაიონის მშრომელებს და ისინი მზრუნველობას არ აკლებენ საზოგადოებრივ მეცხოველეობას. მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადიდებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 1972 წლის IV კვარტალისა და 1973 წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით გორის რაიონი ცნობილი იქნა გამარჯვებულად და გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშა და ფულადი პრემია.

ამ გამარჯვებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ტინისხიდის საკოლმეურნეობათაშორისო საქოშე-სანაშენე მეურნეობას, მის მშრომელ ადამიანებს. 1972 წლის 1 დეკემბრისათვის ტინისხიდმა აწარმოა 18 კოლმეურნეობაში მთლიანად წარმოებული რძის 19,3 პროცენტი, ხოლო რეალიზაცია გაუკეთა მთლიანად კოლმეურნეობებში რეალიზებული ხორცის 7,8 პროცენტს (აქ შედის საკოლმეურნეობათაშორისო სასუქი პუნქტი, მეფრინველეობის ფაბრიკა, ახრისის მევენახეობის საკოლმეურნეობათაშორისო მეურნეობა).

წინ ახალი ზღუდეებია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მხოლოდ ახალი მიღწევებით უნდა უპასუხონ ტინისხიდელმა მშრომელებმა.

**ბეგლარ ნოზაძე**



წითელ კუთხეში



გამზადებული საკვების ჩატვირთვა

# მუშათა კადრების სამჭედლო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობამ ტექნიკური წინსვლისა და წარმოების ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა მიანიჭა მუშათა კადრების მომზადებას. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო გაიზარდა როლი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა, რომლებიც ჩვენს ქარხნებს, ფაბრიკებს, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებს კვალიფიციურ კადრებს უმზადებენ. დაისახა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცებისათვის, რაც ხელს შეუწყობს ამ სასწავლებლებში სწავლისა და შრომის კულტურის ამაღლებას, საყოველთაო ავტორიტეტის მოპოვებას და სასწავლებელში ახალგაზრდობის ხალისით ჩაბმას.

რა დასამალია, რომ დღემდე ამ სასწავლებლებს ზოგიერთი ახალგაზრდა თავს არიდებს, ეს კი ზოგჯერ არასწორი აღზრდის შედეგი და უფროსების დანაშაულიცაა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზოგიერთი ვაი მასწავლებელი უარყოფითად განაწყობს მოსწავლეებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისადმი, — შენი ადგილი პროფტექნიკურ სასწავლებელშიაო, — ეუბნება ხოლმე იგი სწავლაზე გულაყრილ მოსწავლეს, რითაც მთელ კლასს უფუჭებს წარმოდგენას აღნიშნულ სასწავლებელზე. დროა ყველამ იცოდეს, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ჩამორჩენილ მოსწავლეთა „თავშესაფარი" როდია. პირიქით, აქ ყველაზე მოწინავე, ყველაზე წესრიგიანი და შრომისმოყვარე ახალგაზრდები უნდა სწავლობდნენ, რომ საშუალო განათლების მიღებასთან ერთად ერთ-ერთი პროფესიის ათვისებაც შეძლონ და სკოლის მერხზევე ეზიარონ ზეინკლის, ხარატის, მექანიზატორის, მქსოველისა თუ მრთველის პროფესიას. მათთვის უმაღლესი სასწავლებლის კარიც ხომ ღიაა. საწარმოო სწავლების ორი წელი შრომითი საქმიანობის სტაჟად ეთვლებათ და ამიტომაც უპირატესობა ეძლევათ უმაღლეს სასწავლებელში მიღების დროს.

ესეც რომ არ იყოს, ასე აღზრდილი ახალგაზრდა ადვილად იპოვის თავის ადგილს ცხოვრებაში, უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროსაც შეუმცდარად აირჩევს პროფესიას, რაკი ცხოვრებაში უკვე ჩახედულია, რაკი გული და მკლავი საქმეში გამოცდილი აქვს და თავისი შესაძლებლობა უკეთესად იცის. განა ცოტაა ადამიანი, რომელიც პროფესიის არჩევის დროს შეცდა? ზოგჯერ ადამიანის პროფესიასა და შესაძლებლობას შორის გარკვეული ზღვარია, რაც ახალგაზრდას გულს უტეხს, საკუთარი თავისადმი არასრულფასოვნების გრძნობას უღვივებს. მაგრამ უკანდახევა უკვე გვიანია, რადგან ახალი პროფესიის შეძენის საშუალებას არც დრო იძლევა და არც ცხოვრების რიტმი. ასე რჩება ადამიანი მისთვის შეუფერებელი პროფესიის ტყვეობაში, და შრომა, ნაცვლად სასიამოვნო მოვალეობისა, უსიამოვნო ტვირთად ექცევა. ასე იბადებიან უსახელო, ულიმღამო პროფესიონალები, რომლებიც საქმეს თუ არ ვნებენ, სარგებლობაც არაფერი მოაქვთ.

მაშ, რითაა ცუდი, თუ ყმაწვილს საშუალო განათლების მიღებისთანავე ერთი პროფესია უკვე ხელში ექნება და მომავალს მომზადებული შეხვდება? დღეს ხომ მთელი ჩვენი ახალგაზრდობა პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ზღურბლზე დგას. ყოველწლიურად იზრდება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების რიცხვი, მრავლდება პროფესიულ-ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდობის რიგები ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების, სოფლის მეურნეობის, საყოფაცხოვრებო საწარმოების კადრების შესავსებად.

ამ ოთხიოდე წლის წინ თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებასთან არსებულ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის ბაზაზე შეიქმნა 36-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც 480 მოსწავლე სწავლობს. მოსწავლეთა განათლების მიხედვით დაკომპლექტებულ ჯგუფებში სწავლის ხანგრძლივობა ერთიდან სამ წლამდეა. ერთწლიან ჯგუფებში ირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც საწარმოო სწავლებასა და საწარმოო პრაქტიკასთან ერთად ეუფლებიან სპეციალურ და ზოგად ტექნოლოგიას, პოლიტეკონომიას, საბჭოთა სამართალსა და ესთეტიკას, გადიან სამხედრო და ფიზიკურ აღზრდას.

სასწავლებელი კამვოლური დართვისათვის ამზადებს მრთველებს, აბრეშუმის ქსოვისათვის — ფეიქრებს. მოსწავლეთა ნაწილი ეუფლება ქვეოსტატის პროფესიას, მიმდინარე წლიდან ისწავლიან ტრიკოტაჟის ზედა ტანსაცმლის ქსოვას. რისთვისაც სასწავლებელს უკვე გადაეცა სათანადო დაზგა-დანადგარები.

სასწავლებელს ეკონომიურ დახმარებას უწევენ, საჭირო ინვენტარითა და დაზგა-დანადგარებით ამარაგებენ საბაზო საწარმოები: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება და მაუდ-კამვოლის კომბინატი. მიმდინარე სასწავლო წელს მაუდ-კამვოლის კომბინატის დირექტორმა გივი ჯოხარიძემ სასწავლებელს გადასცა უახლესი საქსოვი დაზგა. ეს დაზგა თავის წინამორბედი დაზგებისაგან განირჩევა სიფაქიზითა და სირთულით. მასზე მუშაობა დიდ დახელოვნებას მოითხოვს. ამ დაზგაზე შესრულებული სამუშაოს ხარისხი და შრომის ნაყოფიერება მაღალია, მუშაობის პროცესი კი ოპტიმალური. სწორედ ასეთ დაზგებზე გადის საწარმოო პრაქტიკას სასწავლებლის 114 მოსწავლე მაუდ-კამვოლის კომბინატში. მათ ვალდებულება იკისრეს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მაუდ-კამვოლის კომბინატის ერთ-ერთ საამქროში შექმნან ბრიგადა, რომელშიც მუშები, ინსტრუქტორები, ქვეოსტატები და ოსტატები მხოლოდ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულნი იქნებიან. სასწავლებლის 224 კურსდამთავრებული კამვოლური დართვის ფაბრიკაში დაიწყებს თავის შრომით საქმიანობას, ხოლო 141 კურსდამთავრებული აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშათა კადრს შეემატება.

დღეს ამ საწარმოებში მოსწავლეები საწარმო პრაქტიკას გადიან. მათთვის აქ ყველაფერი ნაცნობია: საამქროები, დაზგები, და რაც მთავარია, ადამიანები — რიგითი მუშები, ქვეოსტატები, ოსტატები, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას და სპეციალობის საიდუმლოებას უზიარებენ. მოსწავლეებისადმი გულისხმიერებითა და ინდივიდუალური მიდგომით გამოირჩევიან უფროსი ოსტატები მაცაცო წულაძე და ომარ კოტრიკაძე. მოსწავლეთა საწარმოო სწავლებასა და პროფესიულ დაოსტატებას 34 ქვეოსტატი ემსახურება, ისინი პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად მოსწავლეებს შრომით ჩვევებს, საქმის სიყვარულსა და კოლექტივისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას უნერგავენ.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მქსოველების — თამარ ლალიძის, მაგდანა ბურჯანაძის, ლეილა ნადიბაიძის, ლამარა ბანეთიშვილის მაგალითზე სწავლობენ. სასახელო ადამიანები მათ საბაზო საწარმოებში თითზე ჩამოსათვლელნი როდი არიან, მაგრამ მოსწავლეებს ყველაზე მეტად მაინც მათი გახსენება ეამაყებათ, რადგანაც ეს სასახელო ქალები მათი სასწავლებლის კურსდამთავრებულნი არიან.

დიდი შეღავათით სარგებლობს სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები ყველა 240 მოსწავლე. მათ აქვთ უფასო კვება, უფასოდ ეძლევათ თითო ხელი საშინაო და გამოსასვლელი ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი, სპორტული ტანსაცმელი, საშინაო და გამოსასვლელი ფეხსაცმელი, თეთრეული, სახელმძღვანელოები, სასწავლო ნივთები და სხვა. საერთო საცხოვრებელში ცხოვრების წესს განაგებს დირექტორის მოადგილე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მზია თოდუა. საერთო საცხოვრებელში ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათ-



„სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ჩვენი შესანიშნავი ახალგაზრდობა ახალი ძალით დაადასტურებს თავის ერთგულებას ლენინის ანდერძისადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი, დამკვრელური შრომითა და ფრიადზე სწავლით აღნიშნავს ხუთწლედის მეოთხე წელს. სამშობლოს სწამს ახალგაზრდა თაობისა, მისი შრომისმოყვარეობისა, სიმტკიცისა და თავდადებისა“.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი).

ვის ზრუნავენ 4 კომენდანტი, აღმზრდელი და დიასახლისი. იმ მოსწავლეებს, რომლებიც საერთო საცხოვრებელში არ ცხოვრობენ, ეძლევათ სტიპენდია. სასწავლებლის ყველა მოსწავლე წარმოებაში იღებს ფულად გამომუშავებას. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთა განკარგულებაშია 100-ადგილიანი სასადილო, ბუფეტი, კლუბი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ფიზიკის, ქიმიის, ხატვის, ქსოვის, ენების, ისტორიისა და ესთეტიკის კაბინეტები. მათ ემსახურება სამედიცინო პუნქტი, ბიბლიოთეკა, აბანო, სამრეცხაო და სხვა.

მიუხედავად ამისა, სასწავლებელში ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. არ ვარგა სასწავლებელთან მისასვლელი გზა, რომელიც ცენტრალურ გზამდე სულ რაღაც 150 მეტრით არის დაშორებული. ეს გზა მოუკირწყლავია, უამინდობის დროს ტალახდება და სასწავლებელში. სისუფთავის დაცვას აძნელებს. სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში სივიწროვეა. თითოეულ ოთახში რამდენიმე მოსწავლე ცხოვრობს. რა თქმა უნდა, მოსწავლეებს აქ სიმშვიდე და მყუდროება აკლიათ. სახელოსნოები, სადაც მოსწავლეები შრომით ჩვევებს ეუფლებიან, უსინათლო და უჰაერო სარდაფშია მოთავსებული და შიგ ძველი, დრომოჭმული დაზგები დგას.

ეს კარგად იცის ამ სასწავლებლის ახლანდელმა დირექტორმა ეთერ სოლომონიამ, რომელიც ამ სასწავლებლის აღზრდილია. იგი აქედან ეზიარა პროფესიულ ოსტატობას. შრომის სიყვარულმა ქვეყნის თვალსაჩინო ქალად აქცია. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა გახდა, შემდეგ კი სოციალისტური შრომის გმირობა მიენიჭა, აირჩიეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად, სსრ კავშირის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრად, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. არის საქსოვი წარმოების პარტბიუროს წევრი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. და დღეს, როგორც სასწავლებლის დირექტორს, დიდი პასუხსაგები საქმე აკისრია: შექმნას სასწავლებელში სწავლისა და ცხოვრების ნორმალური პირობები, სამისოდ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს: გააფართოონ სასწავლო კორპუსი, რეკონსტრუქცია ჩაუტარონ საცხოვრებელ კორპუსს, გამართონ ახალი სახელოსნოები, მოაასფალტონ სასწავლებლის გარე და შიდა გზები, დარგონ მრავალწლიანი მცენარეები, მოაწყონ სპორტული მოედანი, შეიძინონ კინოდანადგარი, მუსიკალური ინსტრუმენტები, და მაშინ რა აჯობებს აქ სწავლას!

მარიკა გვიმრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბივი ჯოხაძე

# შხაპუნა წვიმა

მოთხრობა

მხატვარი ც. ტერელაძე

— აი, ცოტაც, ცოტაც და სოფლამდე მივალთ! — უთხრა ვაჟმა ქალიშვილს და მაჯაში ჩაავლო ხელი. — მოდი გავიქცეთ, ასე უფრო კარგია.

— გავიქცეთ, თუ გგონია რომ ჩამოგრჩები, ძალიან ცდები! — მიუგო ქალიშვილმა და სცადა გაესწრო კიდეც ვაჟისათვის. — გამიშვი ხელი და თუ ბიჭი ხარ, დამეწიე.

ვაჟმა ხელი გაუშვა და ქალიშვილიც გავარდა. ვაჟმა ცოტა შეახანა, უნდოდა ქალიშვილისათვის მანძილის მოგების საშუალება მიეცა, მერე ზურგჩანთა შეისწორა და დაედევნა.

შემოდგომის პირზე წვიმას მთაში სასიამოვნო სითბო მოაქვს და ვერც კი გრძნობ, ნელნელა როგორ ილუმპები. უჟუჟუნებდა და უჟუჟუნებდა. ცამ პირი მოალო და ეტყობოდა აღარ ხუმრობდა; მაგრამ ახალგაზრდები ამ შხაპუნას აინუნშიც არ აგდებდნენ და არცა ცდილობდნენ თავი შეეფარებინათ სადმე. თუმცა ძალიანაც რომ სდომოდათ, ახლო-მახლო თავშესაფარს ვერცა ნახავდნენ.

ქალიშვილი წინ გარბოდა და ვაჟი უკან მისდევდა. ვაჟს შეეძლო დასწეოდა, მაგრამ ქალს გულს არ უტეხდა და ძალით ითრევდა ფეხს. ქალი კი მირბოდა და არც ფიქრობდა, რომ ვაჟი უთმობდა.

უცებ ქალს ფეხი აუცურდა და აყალო მიწაზე დაეცა.

ვაჟი მაშინვე მასთან გაჩნდა, თვალებში ჩახედა:

— გეტკინა?

— მგონი ფეხი...

— აბა, წამოდექი!

ქალმა წამოიწია და გაუბედავად დაადგა მარცხენა ფეხი მიწაზე. მერე უფრო გაბედულად და...

— მოიცა, ჩამოვჯდები სადმე. მგონია ვიღრძე.

ვაჟმა ზურგჩანთა მოიხსნა და ძირს დააგდო.

— აბა, ჩამოჯექი. — ქალი ჩამოჯდა. ვაჟი არ მოერიდა ატალახებულ აყალოს და ქალის წინ ჩაიჩოქა. მერე მარცხენა ფეხზე ბოტინკები და წინდები გაძრო და მორიდებით, ნელნელა მოუსვა ფეხის კუნთებს ხელი. ცდილობდა ნატკენი ადგილი მოესინჯა.

ქალი ვაჟს ცალი ხელით მხარზე დაეყრდნო. თავი უკან გადააგდო და ტკივილისაგან ტუჩი მოიკვნიტა.

— ნუ გეშინია, ქორწილამდე გაგივლის! — უთხრა ვაჟმა და კოჭზე ჩანთიდან ამოღებული დოლბანდი შემოახვია.

— თუ ქორწილს მალე ვაპირებ?

ვაჟმა ქალს თვალებში შეხედა და წინდის ჩაცმა დაუწყო.

— ეგეც არაფერი, სასიძოს გვერდით დაჯექ და ცეკვისთვის თავს ნუ მოიკლავ. კოჭლობას ვერავინ შეგატყობს.

მერე ვაჟმა ქალს ხელი ხელში მოჰკიდა და წამოსწია. ქალი მკერდით მიეხალა ვაჟს. ზევიდან შხაპუნა წვიმა მოდიოდა, ისინი კი ერთმანეთს თვალებში შეჰყურებდნენ და აინუნშიც არ აგდებდნენ ცა ჩამოდიოდა მიწად თუ მიწა ადიოდა ცად. მარტონი იყვნენ ამ უკაცრიელ მინდორში და რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, გაილუმპებოდნენ თუ არა ნაგვიანევი ზაფხულის თბილი წვიმით.

— სულაც არ მიყვარს ქორწილი, — გამოსცრა ქალმა, — თხოვა-გათხოვება უქორწილოდ სჯობია.

ვაჟი გამოერკვა, ხელი წამოავლო ზურგჩანთას და ცალ მხარზე მოიგდო. ქალი მეორე მხარზე დაეყრდნო და ნელ-ნელა გაუყვნენ მინდორს.

— რატომ? — ნაგვიანევად იკითხა ჭაბუკმა.

— რა „რატომ"? — შეეკითხა ქალი, რომელიც კოჭლობ-კოჭლობით მიჰყვებოდა და ცდილობდა უფრო მაგრა დაჰყრდნობოდა ვაჟს.

— რა და, რატომ არ გიყვარს ქორწილი?

— ჰო.. ისე, რა... აი, თუნდაც იმიტომ, რომ ზიხარ სასიძოს გვერდით სუფრის თავში და შესჩერებიხარ გამომთვრალ სახეებს. ყველა შენ გიჭვრეტს, ყველას სურს სწორედ იმ დღეს შენში აღმოაჩინოს ან ნაკლი, ანდა თუ რამე კარგი გაქვს... ერთი სიტყვით, მანეკენი ხარ და სულ ერთ პოზაში ყოფნა რა სასიამოვნოა?

— მართალი ხარ, ხომ იცი... მე არასდროს მიფიქრია ასე. ჰოდა, ადექი და შენც უქორწილოდ გათხოვდი.

— მაგრეც ვიზამ.

წვიმას გადაღების პირი არ უჩანდა. ნელ-ნელა მიდიოდნენ და ძლივს გალიეს ვეება მინდორი. მინდვრის ბოლოს თივის ზვინები იდგა და იმათ მიაშურეს.

ვაჟმა ერთი ბულული გადაჩიჩქნა და ზურგით მიეყრდნენ. თივის სუნმა უცნობი ნეტარება მოჰგვარა ორივეს და უნებურად მხარი მხარს შეახეს.

წვიმის წვეთებს შხაპა-შხუპი გაჰქონდა თივის ბულულზე.

ვაჟმა ქალიშვილს მხარზე გადაადო ხელი და თავისკენ მიიზიდა.

— ხომ არ შეგცივდა? — ისე, სხვათაშორის შეეკითხა ვაჟი, თავისი საქციელი რომ გაემართლებია.

— ისე, რა... — უპასუხა ქალმა.

— ეს ოხერი, გადაღებასაც რომ არ აპირებს! — ვაჟმა ალმაცერად ახედა ცას.

— საღამოც წამოგვეპარა, სად უნდა წავიდეთ ახლა.

— აქ მგონი ახლო სოფელი უნდა იყოს. მივადგეთ რომელიმე მოსახლეს და რა ღმერთი გაუწყრებათ, რომ ღამე არ გაგვათევინონ. აი, ნაურმალს გავყვეთ და სოფელში შეგვიყვანს, სადმე ხომ უნდა მიჰქონდეთ თივა.

გაჰყვნენ ნაურმალს და, სერს რომ გადაადგნენ, უკვე კარგა შებინდებული იყო. ამ ბინდში კი, მოშორებით, სახლის ფანჯრებიდან მოციმციმე სინათლე აშუქებდა და ის შიში, ცის ქვეშ არ მოგვიწიოს ღამის გათენებაო, ერთბაშად გაუქრათ.

* * *

სოფელს რომ მიაღწიეს, კარგა შეღამებული იყო. ბევრი არ უფიქრიათ და პირველივე ეზოს ჭიშკარი შეაღეს. ეზოში დიდი კაკალი იდგა. კაკლის ქვეშ ვეება ჩამოსაჯდომი ქვა იყო. ვაჟმა უსიტყვოდ მოიხსნა ჩანთა და ქვაზე დასდო.

— აქ დამიცადე, — უთხრა მან ქალს — შევალ სახლში...

ფეხების ბრაგუნით აიარა პატარა კიბე და კარზე დააკაკუნა.

— შემოდი, რომელი ხარ! — მოისმა შიგნიდან ხმა და ვაჟმაც გაბედულად შეაღო კარი.

ოთახში ღუმელი იდგა. ღუმელში ცეცხლი არ ენთო, მაგრამ იქვე მიდგმულ ვეება ტახტზე მოხუცი, თეთრწვერა კაცი ჩამომჯდარიყო

და ხელები ისე მიეფიცხებია ღუმელისათვის, თითქოს ვინ იცის, როდის, როდის დანთებულ ცეცხლს სითბო უნდა გამოსტაცოსო.

— გამარჯობა თქვენი! — შესვლისთანავე წარმოთქვა ვაჟმა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — ზანტად უპასუხა მოხუცმა და მოხუცური სიზანტითვე ასწია თავი და შეხედა ახალმოსულს. — რომელი ხარ? — იკითხა კარგა ხნის შემდეგ ბერიკაცმა, როცა ვერ იცნო სტუმარი.

— უცხო ვარ, ბაბუ! აქეთ მოვხვდი ამ წარღვნაში და...

მოხუცი თითქოს გამოცოცხლდა, თითქოს იუკადრისა უცხო კაცს ასე როგორ ვეჩვენეო და სხარტად წამოიმართა.

— მოდი მერე, შე კაცო, რა კარებში ჩამდგარხარ. — მოხუცი ახალგაზრდისკენ გაემართა და უფრო დაკვირვებით შეხედა ჭაბუკს. — მოდი, მოდი! ასეთ ამინდში რა ბოდიში გინდა?!

ჭაბუკი კიდევ ყოყმანობდა. ვერ გადაეწყვიტა მიგებებოდა მოხუცს და ხელი ჩამოერთმია, თუ ეთქვა რაც ჰქონდა კიდევ სათქმელი.

— მოდი, შე კაცო!

— ბაბუ...

— ჰე...

— ბაბუ, ქვევით ქალი მიცდის, ისიც ჩემთან არის... შემოსვლა...

— ქვევით არის? მერე და, შე კაცო, ასეთ თავსხმაში კარგი ვაჟკაცი ქალს გარეთ დატოვებს?! დაუძახე... მოიცა, მე თვითონ...

— არა, ბაბუ, თქვენ ნუ შეწუხდებით, — და ჭაბუკი კარებშივე შეტრიალდა, ჩაირბინა კიბეები და ქალთან მივიდა.

— წამო. ყველაფერი მოგვარებულია. — ქალი გაჰყვა.

მასპინძელი კარებში შეეგებათ და ზურგს უკან ფართოდ გააღო კარები.

— მოდით, მოდით, შვილებო, ჰატ, ქალი გარეთ არისო!..

— აქა მშვიდობა! — თქვა ქალმა და ღუმელთან მიდგმულ ტახტს მიაშურა.

— მშვიდობა არ მოგაკლოს ღმერთმა, შვილო! — უპასუხა მოხუცმა და ორივე ხელახლა შეათვალიერა.

— აქეთ ვიყავით და...

— გაგიავდრდათ არა? — დაამთავრა მოხუცმა. — ვიცი, ამ დროს, ჩვენში წვიმამ იცის მოჭარბება. — მერე უფრო აფუსფუსდა და ახლოს მივიდა ტახტზე ჩამომჯდარ ახალგაზრდებთან.

— ქალაქელები ხართ?

— ჰო, ქალაქელები.

— აი, დასწყევლოს ღმერთმა. მე აქ ყბედობა გავაბი და ეს ბებერი იმას კი ვერ ვხვდები, სულ გალუმპულები რომ ხართ, ახლავე, ახლავე, შვილებო, — და მოხუცი ოთახის უკანა კარით გავიდა.

ახალგაზრდებმა ოთახი შეათვალიერეს. მერე ერთმანეთს შეხედეს და გაიღიმეს.

— ესეც ღამის გასათევი! — თქვა ქალმა.

— ცოტა რომანტიკაც არის, არა?

მოხუცს წვრილი ფიჩხი დაეღლიავებია და ხმაურით შემოაბიჯა ოთახში.

— სულ არ მოაღო პირი? აღარც კაცს იბრალებს და აღარც მიწას! — მერე ღუმელთან ჩაცუცქდა, ცეცხლის შენთება დაიწყო.

— ნუ წუხდებით ბაბუ, — უთხრა ჭაბუკმა, — ჩვენ ისე, უმაგისოდაც გავალთ იოლად.

მოხუცმა მრავალისმთქმელად შეხედა ჭაბუკს და გამოსცრა:

— შენ რა იცი, ბაბუ, ჯერ ყლორტი ხარ, მერე და ამ ქალიშვილს შეხედე. ასე ივარგებს?! ნაწვიმარზე, ღმერთმა დაგიფაროს და, თუ გაგქარა...

ღუმელში ცეცხლი აგუზგუზდა. მოხუცი წელში გაიმართა და ირგვლივ მიმოიხედა.

— ახლა რა ვქნა! ჰო, მოდი აქ, შვილო, — და მან ქალს ხელი დაუქნია, — წამოდი ჩემთან.

ქალი წამოდგა, მაგრამ ნატკენმა ფეხმა გაჰკენწლა და წაიკოჭლა.

— უჰ, ფეხი ხომ არ იტკინე, შვილო!

— ისე, ცოტათი ვიტკინე, დამიცურდა და...

— მომიკვდეს თავი! მოიცა, შენ მანდ იჯექი! მოდი, შენ, ყმაწვილო. მოიცა, რა გქვია შენ?

— ბესიკი, ბაბუ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო და ჩემო ბესიკ! მადერ კარდალა დგას, ეგერ კი ჩაფში წყალია, ჩაასხი და შემოდგი ღუმელზე. მერე კი კუპრის არტახი შემოვადოთ ამ ქალიშვილს ფეხზე. კუპრი უებარი წამალია ნაღრძობისათვის.

ბესიკმა მოხუცის ბრძანება შეასრულა. კარდალას ღუმელზე რომ დგამდა, ქალიშვილს თვალი ჩაუკრა.

— არ მოიწყინოთ, ახლავე მოვალ. — იგი მეორე ოთახში გავიდა.

ლამფა-ფიცრის ტიხარიდან დიდხანს მოისმოდა მოხუცის ფაციფუცი. მერე კარადის ჭრიალი და მოხუცის ენერგიული ნაბიჯების ბრახა-ბრუხი. მერე იგი კარებში გამოჩნდა, ხელზე კაბა გადაეკიდა და ქალიშვილთან მივიდა.

— ა, შვილო, გამოიცვალე, თლად გალუმპული ხარ!

ქალიშვილმა სიყვარულით შეხედა მოხუცს და მერე ჭაბუკს მიაჩერდა.

— ჰო, შვილო, ჩემი დარიკოს საქორწილო კაბაა. ქორწილის შემდეგ ერთი ორჯერ თუ ეცვა. დრო არ ჰქონდა ხშირად ეტარებინა.

ქალმა გრძელ ჩითის კაბას ხელი შეავლო და ზეზე წამომდგარმა ტანზე მოიზომა.

— შენი ტანისა იყო. ახლა კი, ჩემო ბესიკ, შენ გამომყევი მეორე ოთახში, შენც გამოიცვალე, თორემ... ეჰ... რა იცით, ჯერ ყლორტები ხართ!

ბესიკი უხმოდ გაჰყვა მოხუცს მეორე ოთახში.

როცა უკან შემობრუნდნენ, ახალგაზრდები გაოცებულნი მიაჩერდნენ ერთმანეთს:

ღუმელთან ახლოს, კოკრებიან ჩითის კაბაში მოჩვენებასავით იდგა ქალიშვილი. იგი გაშტერებული მისჩერებოდა კარებში ჩამდგარ ჭაბუკს, რომელსაც ძველებური გალიფე შარვალი და თეთრი მიტკლის პერანგი ეცვა, ფეხები კალოშებში წაეყო.

ერთხანს ასე ცნობისმოყვარედ უყურებდნენ ერთმანეთს, მერე მზერა მოხუცზე გადაიტანეს, თეთრ წვერულვაშიან სახეს საამო ღიმილი დასთამაშებდა.

— ახლანდელი ქალები შარვლებს ამჯობინებთ, მაგრამ რითაა ნაკლები ჩითის გრძელი კაბები. ეჰ... აი, ესეც კუპრი, მაგრა შემოიხვიე ფეხზე და ნახე, რა მალე გაგიაროს!

არა ციოდა, მაგრამ ოთახში დატრიალებული ალის სუნი საამო ჟრუანტელს ჰგვრიდა სამივეს. თითქოს ოთახიც კი უფრო გაგანიერებულიყო.

* * *

მოხუცს აღარაფერი უნდოდა დაეზოგა. ღუმელთან პატარა ტაბლა მიდგა და ზედ მთელი თავისი გულუხვობა გადმოაფინა. სახელდახელოდ გამომცხვარ ცხელ მჭადებს, ლორის სუნს, ჭყინტ ყველს, ხელადა ღვინოს და მწვანილეულობას სამივესათვის მადა გაეხსნა და გემრიელად ილუკმებოდნენ.

— ახლა კი გავიცნოთ ერთმანეთი, შვილებო, — თქვა მოხუცმა და სასმისები ღვინით აავსო.

— მე გვარად ხომასურიძე ვარ, სახელად არჩილს მეძახიან. ისე კი თქვენ ბაბუა დამიძახეთ, არჩილ ბაბუა. მარტოხელა კაცი ვარ, მაგრამ თუ ჩემმა ძვლებმა ჩემ სიბერეს გაუძლეს, მასპინძლის სირცხვილს არ ვაჭმევ ამ ჭერს.

ცოტახანს სიჩუმე ჩამოვარდა სუფრასთან.

— თქვენ, თქვენ ვინა ხართ, შვილებო?

— ჩვენ, ბაბუა არჩილ, სტუდენტები ვართ. ერთად ვსწავლობთ და კიდევ...

მოხუცმა ეშმაკურად გადახედა სტუმრებს.

— გიყვართ, ბაბუა, ერთმანეთი?

ბესიკს პირთან მიტანილი ლუკმა ხელში შეაცივდა.

— კი, ჩვენ დანიშნულები ვართ! — და ნამალევად შეხედა ქალიშვილს, რომელიც ამ სიცრუისგან წამოწითლებულიყო, მაგრამ იხტიბარი აღარ გაიტეხა და დააბოლოვა: — კი, გვიყვარს ერთმანეთი.

— ღმერთმა გაცოცხლოთ, შვილებო! სიყვარულზე კარგი აბა რა არის — უკეთესს ამ ქვეყანაზე ვერაფერს შეიძენთ. თქვენს ბედნიერებას გაუმარჯოს, შვილებო! — თქვა მოხუცმა და სასმისი მიუჯახუნა ორივეს.

— იცოცხლეთ, ბაბუ! — მიუგეს მათ და სასმისები გამოსცალეს.

— აქ საიდან მოხვდით, შვილებო? უცხოები უნდა იყოთ.

— აქ, რაიონში პრაქტიკაზე ვართ, ბაბუ, მე და თეა ერთად ვსწავლობთ და ერთად წამოვედით...

— ჰო, შვილო, კარგი გიქნიათ ერთად რომ წამოსულხართ. ახალგაზრდები ბუმბულსა ჰგვანან. თუ ერთმანეთს არ მიეკვრნენ, ნიავი საითაც დაუქროლებს, იქით გაიტაცებს...

— ამ შაბათ-კვირას თავისუფლები ვიყავით და გვინდოდა აქაურობა მოგვევლო...

— კარგი გიქნიათ, — კვლავ დაუმოწმა მოხუცმა, — ყველაფერი უნდა იცოდეთ. თეა, ბაბუ, ფეხი აღარ გაწუხებს?

— არა, ბაბუ, გამიარა. გადამავიწყდა კიდეც, რომ ვიტკინე.

— ასეა, შვილო, დროზე უნდა ყველაფერს მიხედვა.

ბესიკი და ბაბუა არჩილი სასმისებს სცლიდნენ. თეა კი ღვინოს უსხამდა და უსხამდა, ორივე უფრო და უფრო გამხიარულდნენ. მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

— ბაბუ, — დაარღვია სიჩუმე თეამ. — თუ არ გეწყინებათ, ერთი რამე უნდა შეგეკითხოთ.

— სთქვი, შვილო, სთქვი, რატომ უნდა მეწყინოს.

— ბაბუ, — მარტო ცხოვრობთ?

— კი, ბაბუა, მარტო...— მერე ცოტა ხანს გაჩუმდა და განაგრძო: — სოფელია ჩემი პატრონი. სოფელი არ მანებებს მარტოობას. მერე ისევ გაჩუმდა და ცარიელი სასმისები რომ დაინახა, თეას ანიშნა, დაასხიო. თეამ სასმისები შეავსო.

— შვილებო, ერთი წუთით მომიცადეთ, მე ახლავე, აი ახლავე მოვალ. — იგი მძიმედ წამოდგა და მეორე ოთახში გაჩანჩალდა, გაზეთში გახვეული რაღაც გამოიტანა და ისევ თავის ადგილზე ჩამოჯდა.

— მოდით, — თითქოს დაწყებული სათქმელის გაგრძელებას აპირებსო, წამოიწყო მოხუცმა, — მოდით ერთი, წყევლისა დავლიოთ.

ახალგაზრდებმა ვერ გაუგეს მოხუცს, მაგრამ, ვიდრე შეეკითხებოდნენ, რა სადღეგრძელოო, თვითონ დაასწრო:

— იმისი არგამარჯვებისა იყოს, ვინც ომი მოიგონა. ომმა დამტოვა უშვილძიროდ, შვილებო, ომმა გაუყენა ქარი ამ ჩემს სახლს, ომმა მოუღო ბოლო ჩემს სიამაყეს, — და მოხუცს ჩამქრალი თვალებიდან ცრემლი გადმოუგორდა. მერე ერთბაშად გამოსცალა სასმისი და გაზეთებში შეფუთულის გახსნა დაიწყო. — აი, ეს ვაჟკაცები მომტაცა ომმა და აღარ დამიბრუნა. — სურათიდან სამი ვაჟკაცი ღიმილით მისჩერებოდა მათი სახლის სტუმრებს.

— ეს გორდიაა, ეს უშანგი, ეს კი, ის ეშმაკის ფეხი კაკულიკაა. ენაცვალოთ მამა, წავიდნენ და წავიდნენ, — მოხუცმა სახელოთი ამოიმშრალა თვალები და განაგრძო: — მაგათ მიწის ჭია უნდა ხრავდეთ, მე კი ცას უნდა ვიყო გამოკერებული? ეჰ, სადაა სამართალი!

ბესიკმა და თეამ უსიტყვოდ შეხედეს ერთმანეთს.

— ეს კი ჩემი დარიკოა, — მოხუცმა ახლა მეორე სურათი გამოიღო. — ახლადდაქორწინებულებმა გადავიღეთ. მერე სურათისთვის ვიღას ეცალა. იმათ დარდს გადაჰყვა ეს სულცხონებული. ისე მოკვდა, მათი შესანდობარი არ დაულევია...

ახალგაზრდებმა ახლა მეორე სურათი ნახეს და გაოცებულები შეაჩერდნენ ერთმანეთს: სურათზე ახალგაზრდა ქალი და ვაჟი იყო გამოსახული. ვაჟს ჩოხა ეცვა, ქალს კი, ქალს ის კაბა, რომელიც ახლა თეას ეცვა. ისინი დაჟინებით მიაჩერდნენ ერთმანეთს. თეა თითქოს წააგავდა კიდეც დარიკოს. ეს კოკრებიანი კაბა ხომ სულ მასავით ადგა ტანზე. თეამ რაღაც დიდი სითბო იგრძნო, წამოდგა, მოხუცთან მივიდა და გადაკოცნა.

— ორჯერ თუ სამჯერ ეცვა იმ საწყალს ეს კაბა.

მოხუცი შუბლზე ემბორა თეას, ხელი გადახვია და გვერდით მოისვა.

— თქვენ გაიხარეთ, შვილებო! თქვენმა მშობლებმა იხარონ თქვენით.

— ბაბუა არჩილ, — წამოიწყო ბესიკმა და ზეზე წამოდგა, — ერთი სადღეგრძელოს ნება მომეცით, არა, ნებაც რომ არ მომცეთ, მე მაინც ვიტყვი.

— თქვი, შვილო, თქვი, ვინ გიშლის...

— ამითი, ჩემო ბაბუა, გორდიას, უშანგის და იმ ეშმაკის ფეხს კაკულიკას გაუმარჯოს, ომში რომ წავიდნენ და დღესაც იბრძვიან

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმისათვის, რომ ჩვენ: ბაბუა არჩილმა, თეამ და ბესიკმა მათი სადღეგრძელო შევსვათ. და კიდევ იმათ დედას, ბებია დარიკოს გაუმარჯოს; დედის რწმენას, შვილებს შესანდობრის სათქმელად რომ ვერ იმეტებს, ჩვენი ოჯახების ფუძე-კარს გაუმარჯოს, ჩემო ბაბუა, შენი თამადობით. შენ გაგიმარჯოს და იცი კიდევ რას გაუმარჯოს? შხაპუნა წვიმას, აქ, თქვენს ჭერქვეშ რომ შემოგვყარა. და კიდევ რა მინდა იცი, ჩემო ბაბუა არჩილ? ნაურმალის სადღეგრძელო დავლიოთ, რომელიც აქ შემოგვიძლვა, და კიდევ ჩვენ გაგვიმარჯოს.

— გაგვიმარჯოს, შვილო, იცოცხლეთ...

— ახლა კი მე მინდა გავაგრძელო ჩემი თამადობა, — წამოიწყო ბაბუა არჩილმა. — შვილების ქორწილს ვესწრაფოდი და ვერ მოვესწარი. თქვენ კი აქა ხართ. თქვენი თავი დამალოცინეთ. მე კი ჩავთვლი ამ ჩვენს პურისჭამას ქორწილად და, ვინც რა უნდა თქვას. იბედნიერეთ, იხარეთ და იმრავლეთ! კარგი შვილები დაგეზარდოთ... ომს კი ღმერთმა არ შეგასწროთ... — აგრძელებდა მოხუცი სადღეგრძელოს და ორივე ახალგაზრდა ფეხზე ამდგარი უსმენდა ბერიკაცის ადრეულ ლოცვას.

დიდხანს უჯდა სამი ახლობელი ადამიანი პატარა ტაბლას. ბაბუა არჩილმა და ბესიკმა სიმღერაც კი წაუღიღინეს. ღუმელში შეკეთებულ შეშას საამო ტკაცუნი გაჰქონდა და, თითქოს მომლხენთ ულხენსო, გათამამებული ალი საამოდ გუგუნებდა...

* * *

— ბესიკ, რატომ მოატყუე ბაბუა?! — უთხრა თეამ ჭაბუკს, როცა ოთახში მარტონი დარჩნენ.

— რა მოვატყუე, თეა?

— რა და ჩვენი ამბავი.

— გეწყინა?

— არა.. ტყუილი მაინც არ უნდა გეთქვა!

— რომ არ იყოს ტყუილი?

— სიმართლე რომ არ არის?

* * *

დილით ბაბუა არჩილი ადრიანად შევიდა ახალგაზრდების ოთახში. ბესიკი ტახტზე მიწოლილიყო და თხელი საბანი გადაეფარებინა, თეა კი ლოგინში იწვა და ფანჯრიდან შემოჭრილი სხივები ხელით მოეჩრდილა.

მოხუცმა გადახედა მძინარეთ და ჩაეცინა.

— წაჩხუბებულან, — გაიფიქრა მან და უხმაუროდ გამოტრიალდა.

— ხომ მოხვალთ, შვილებო, კიდევ? — შეეკითხა გაცილებისას ბაბუა არჩილი და მოსიყვარულე თვალებით შეხედა ახალგაზრდებს.

— ამოვალთ, ბაბუ, მალე მოგინახულებთ, — უპასუხეს ბესიკმა და თეამ და სინანულით დაემშვიდობნენ საყვარელ მოხუცს.

დიდხანს გასცქეროდა მოხუცი მიმავალთ და გული სწყდებოდა, რომ ასე მალე მიილია წუთები, როცა გულში კვლავ იგრძნო სხვისი სითბო და სიყვარული.

ასე გულდაწყვეტილი შებრუნდა შინ. იქ უკვე აღარ ეგულებოდა ბესიკი და თეა, მაგრამ სჯეროდა, რომ ახალგაზრდები არ მოატყუებდნენ, კვლავ გამოჰყვებოდნენ ნაურმალ გზას, რომელიც ჯერ კიდევ კარგად აჩნდა ნაწვიმარ აყალო მიწას.

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



ინჟინერ-ტექნოლოგი მაყვალა ჯედელაშვილი

„თუ ხვალ დღევანდელზე უკეთ ვიმუშავებთ, გეგმებს არამარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულებთ. აწყობილი და შეთანხმებული მუშაობა წლის პირველი დღეებიდანვე, ცვლის, თვისა და კვარტალის საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება კანონი უნდა გახდეს ყოველი კოლექტივისათვის, თითოეული მუშაკისათვის".

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი).

# სწრაფვა სიახლისაკენ

მუშაობ თუ არა შენ ხარისხიანად? თუ შენ უხარისხოდ მუშაობ, მაშინ მშრომელთა წინაშე ბოროტებას ჩადიხარ!

უხარისხო დეტალის მიმღები სახელს უტეხს ფაბრიკის მთელ კოლექტივს!

თუ ხედავ, რომ შენი ამხანაგი საქმეს აფუჭებს, გააფრთხილე, დაარიგე, ასწავლე მას დავალების შესრულების სწორი გზა!

ყოველთვის იცოდე შენი ფასი, მაგრამ უკეთესია ამხანაგებმა, კოლექტივმა შეგაფასონ!

გაივლი ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის ტერიტორიაზე და ეს მოწოდებები თვალში გეცემათ, ძალაუნებურად წაიკითხავ. მუშა თუ ხარ და აქ მუშაობ, უთუოდ შრომით შემართებასაც იგრძნობ, და დიდი მაორგანიზებელი ძალა, რომელიც შენში ჩაიბუდებს, არ მოგცემს უფლებას გამოუშვა წუნი...

...წუნს ცეცხლივით გაურბიან ახალდაბელები.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მიღწევებისათვის ახალდაბელებმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელი დაიმსახურეს.

ხუთწლედის მესამე წლის დავალების შესრულება ფაბრიკამ გასული წლის 15 ნოემბერს უპატაკა სამშობლოს და მეორე ჯილდო — საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშა დაისაკუთრა.

მეავეჯეებმა გეგმით გათვალისწინებული 9.520 ათასი მანეთის ნაცვლად, 9.528 ათასი მანეთის მზა პროდუქცია გამოუშვეს, ხოლო წლის ბოლომდე დამატებით 455 ათასი მანეთის პროდუქცია აწარმოეს და 1974 წლის ანგარიშში დაიწყეს შრომა.

ახალდაბის ავეჯი დიდი ხანია მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ყოველთვის დიდი გადაჭარბებით სრულდება. აქაური ავეჯი უმთავრესად ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში იყიდება, ხოლო ნაწილი რესპუბლიკის გარეთაც გადის. იშვიათად იღებს ფაბრიკა მომხმარებელთა პრეტენზიებს, და თუ საყვედურობენ, ისიც უთუოდ გამოწვეულია საწოლის ზამბარის არამყარობითა და ნაადრევი მოცვეთის გამო (ამ ზამბარებს კი თბილისიდან იღებენ). უპირველეს ყოვლისა, პროდუქციის ხარისხი განაპირობა იმ მაღალკვალიფიციურმა მუშათა ბირთვმა, რომლითაც ფაბრიკა სამართლიანად ამაყობს. მათ აქვთ მუშაობის დიდი ცოდნა და გამოცდილება. როგორც ფაბრიკის დირექტორმა აკაკი მოსიძემ აღნიშნა: დღეს რომ შეიცვალოს ფაბრიკის მთელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ჩვით არაფერი დაშავდება, რადგან თითოეული მუშა შესანიშნავად ფლობს ავეჯის მოპირკეთებისა და ლაქის დასხმის ხელოვნებას.

ფაბრიკაში ძირითადად მხატვრული ავეჯი მზადდება — საძინებელი ოთახის სხვადასხვანაირი გარნიტური მოპირკეთებულია სხვადასხვაგვარი მხატვრული ორნამენტით. მართალია, ფაბრიკის კოლექტივი უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ფურნიტურა (საკეტი, ანჯამა, კარნიზი) უხარისხოა და მთლიანობაში ავეჯს სილამაზესა და მიმზიდველობას უკარგავს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ მალე აშენდება თბილისში ფურნიტურის ფაბრიკა, რომელიც საბოლოოდ გადაჭრის ქართველი მეავეჯეებისათვის ამ მტკივნეულ საკითხს.

ფაბრიკამ დღეში გეგმით, საძინებელი ოთახის 28 გარნიტური უნდა გამოუშვას (მხოლოდ ამ მარკის საქონელი მზადდება ფაბრიკაში), ამზადებს კი მეტს — 35-დან 40-მდე. შრომის ნაყოფიერების ზრდა მუშის შრომის კარგმა ანაზღაურებამ განაპირობა, ამითვე აიხსნება მუშათა ნაკლები დენადობა. მუშის საშუალო გამომუშავება 150-300 მანეთია.

მართალია დღეს ფაბრიკა კომუნისტური შრომის სახელს ატარებს, გეგმებსაც ასრულებს და ჯილდოებსაც იღებს, მაგრამ თავისი აღჭურვილობით პრიმიტიულად გამოიყურება, იგი ხის სახერხი ქარხნის ბაზაზეა შექმნილი და დღემდე ბევრი სამუშაო პროცესი ისევ ხელით სრულდება. ლაქის დამსხმელ საამქროში მძაფრი სუნია, რაც მავნებელია ჯანმრთელობისათვის, აუტანელ ხმაურს იწვევს შემწოვი მილის მუშაობა. მუშებს ყოველდღიურად ეძლევათ უფასო რძე, მაგრამ, სამწუხაროდ ფაბრიკა ვერ მარაგდება საკმაო რაოდენობის რძით.

აუცილებელია ქარხნის მთლიანი რეკონსტრუქცია. ამბობენ, ეს რეკონსტრუქცია უახლოეს ხანში დაიწყებაო, მაშინ ახალდაბელ მეავეჯეებს შრომის კარგი პირობები შეექმნებათ, რეკონსტრუქციის შედეგად ისინი მიიღებენ 200 მეტრი სიგრძის სამსართულიან სამ საამქროს, გამარტივდება შრომის პროცესი. საამქროები თანმიმდევრულად განლაგდება, კონვეიერული წესით მოხდება რკინიგზით შემოზიდული ნედლეულის მიღება, დამუშავება და მზა პროდუქციის გამოშვება, რაც აღკვეთს ზედმეტ შემხვედრ მოძრაობებს, მუშახელის მოცდენას, დროისა და ენერგიის ფუჭად დაკარგვას.

იმ პირობებში, რომელშიც დღეს მუშაობს ფაბრიკის კოლექტივი, დიდი ენერგიის დაძაბვაა საჭირო.

ახალდაბის მარკას, ფაბრიკის სახელს უფრთხილდებიან და მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციისათვის იბრძვიან მექანიკური დამუშავების საამქროს მედაზგე ეთერ ბლიაძე (იგი ავეჯის ნახევრად აწყობაზე მუშაობს), ლაქის დამსხმელი და ამწყობი საამქროს მუშები: ნაზი ნოზაძე, ბაბულია ჩადუნელი და ლიანა აბუდოღლი, მხატვრული ავეჯის საამქროს ახალგაზრდა ინჟინერ-ტექნოლოგი მაყვალა ზუდელაშვილი და სხვები.

* * *

ახალდაბელთა წინაშე დღეს დიდი ამოცანებია დასახული: მიმდინარე წლის შემხვედრი გეგმით მათ 4 მილიონ ასი ათასი მანეთის მზა პროდუქცია უნდა გამოუშვან, უფრო უნდა გააუმჯობესონ ავეჯის ხარისხი. ახლო მომავალში ავეჯს ლითონის კარკასებზე დაამზადებენ, რაც დაზოგავს მერქანს, გაალამაზებს და მოსახერხებელს გახდის ავეჯს.

სწრაფვა სიახლისაკენ, ხარისხისაკენ, ორგანიზებული შრომისაკენ — ასეთია ახალდაბელ მეავეჯეთა დევიზი.

**ნანული ბუკია**



გამრიალებელი თინა აბულაძე



გამრიალებელი ნაზი ნოზაძე



ამწყობი მუშა ნელი ბურბუნაძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა



# თამარ წულუკიძე

(დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო)

...1956 წელს, საქართველოს დამსახურებული არტისტი თამარ გრიგოლის ასული წულუკიძე დაბრუნდა რუსთაველის თეატრში. 1957 წლის გაზაფხულზე თბილისის თეატრალური საზოგადოება და მრავალრიცხოვანი მაყურებელი მოწმე გახდა (ორი ათეული წლის სცენური შემოქმედების წყვეტილის შემდეგ) თამარ წულუკიძის ბრწყინვალე წარმატებისა მარია ალექსანდრეს ასულ ულიანოვას როლში (პოპოვის „ოჯახი").

რუსთაველის თეატრის მაყურებელთა დარბაზი ხალხს ვერ იტევს. ამ დღეს ვინ იცის მერამდენედ მიდის დიდი ლენინის ყრმობისა და სიჭაბუკის ამსახველი პიესა! მაგრამ დღეს ფარდის ახდისთანავე ხალხის ყურადღება მიიქცია ტანმომცრო მსახიობმა ქალმა, ვალოდია ულიანოვის დედამ. მის გამოჩენას ტაში შეაგება მაყურებელმა, ამით გამოხატა თავისი უსაზღვრო სიყვარული და ღრმა პატივისცემა მსახიობი ქალისადმი.

მსახიობ ქალს, სცენაზე შემოსვლისას, თან შემოჰყვა ჩვეული სითბო, მასთან დიდი მღელვარებაც.

რა აღელვებს შთაგონებულ შემოქმედს?!

რატომ უთრთის სხეული, რა არის ამის მიზეზი?

მსახიობის პირველი გამოსვლა ძლიერ შთამბეჭდავი იყო:

მარია ალექსანდროვნა გამოდის აივანზე და ეძახის თავის უფროს ვაჟიშვილს:

— საშა, საშა, სადა ხარ, საშა?..

ტაშის გრიალმა კვლავ მოიცვა დარბაზი, გაისმის აღელვებული მაყურებლის ჩუმი გუგუნი.

ეს ძახილი „საშა, სადა ხარ, საშა!" — დაცალებული ირმის ძახილს გავდა, ამიტომ მაყურებელმა ერთწამს სინამდვილედ მიიღო და არა თამარ წულუკიძის სცენურ გარდასახვად. სახელი „საშა" რუსთაველის თეატრის კედლებმაც ექოდ გამოსცა. შემდეგ მაყურებელი თავისივე ტაშმა გამოაფხიზლა და გაჰყვა ულიანოვების ოჯახის დინებას, იმ დიდ ამბავს, სადაც თამარი ბრწყინვალედ ასახიერებდა კაცობრიობის მომავალი გენიის დედის როლს.

...დღეს მისი მეორედ დაბადებაა სცენაზე, მან მაყურებელთან შეხვედრისას, რამდენიმე წუთიან პაუზაში, აშკარად თავისი სახე დაგვანახა.

აქ ხომ მისი სამყაროა, მისი ხალხი, მშობლიური კერა, მისი საყვარელი თეატრი, მისი ტრფიალი სცენა — რასაც, უნებლიედ, ორი ათეული წელი ჩამოშორდა. ყოველივე ეს ისედაც ნათელს ხდის, თუ რითაა გამოწვეული მისი ღელვა, თრთოლვა.

არა, ამაოდ ღელავს თამარი.

ის ისევე სასიამოვნო, ტკბილმოუბარი შვილია თავისი ხალხისა.



მარია ალექსანდრეს ასული (შუაში) — „ოჯახი“.



ილტანი — „ზაგმუკი“



ლამარა — „ლამარა“



ოფელია — „ჰამლეტი“

მართალია, თითქმის ოცი წელია, რაც რუსთაველის თეატრის სცენას არ გაჰკარებია თამარის ფეხი, თეატრის კედლებს არ გამოუციათ თამარის წკრიალა, გულში ჩამწვდომი ხმის გამოძახილი... მაგრამ განვლილ წლებს თითქოს სულ არ შეუცვლიათ თამარი: იგივე გარეგნობა, იგივე სინაზე და სინატიფე, ქალური კდემამოსილება, სცენური მიმზიდველობა და მომხიბვლელობა. მასში ოდნავადაც არ ჩამცხრალა შემოქმედებითი გზნება, მის გულში ახალგაზრდულად გიზგიზებს ცეცხლი მგზნებარე არტისტისა. თამარ წულუკიძეს, შემოქმედებით სარბიელზე გამოსვლის დღიდან, ბევრი შესანიშნავი სცენური სახე შეუქმნია, ბევრჯერ აუღელვებია მაყურებელი სიცოცხლისა და ბედნიერების შთამაგონებელი, მაღალმხატვრული, მართლად განსახიერებული სცენური სახეებით. და სცენის ოსტატს, ხალხის სიყვარული და მადლიერება დაუმსახურებია.

თამარ წულუკიძე არა მარტო იღბლიანი მსახიობია, იგი ქართულ სცენაზე მოვლენილი ტალანტია, ერთი უნიჭიერესი ქალიმსახიობია რუსთაველის თეატრის შემოქმედებით ისტორიაში, რომელმაც თეატრის ხელმძღვანელ, დიდებულ რეჟისორ სანდრო ახმეტელთან და ამ თეატრის კოლექტივთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი თეატრის მსოფლიო მნიშვნელობის თეატრად აღიარებაში.



ამალია — „ინ ტირანოს“

თამარ წულუკიძის შემოქმედებითი გაზაფხულის მოწმენი ალბათ გაიხსენებენ რა დიდი გულწრფელობითა და უშუალობით ქერწავდა იგი თითოეულ სცენურ სახეს. რა პოეტური, ნათელი და სადა იყო მისი სცენური ქმნილებები. რა მელოდიური კილო ჟღერდა მის მეტყველებაში, რა მუსიკალობა, რა მოქნილობა ტანისა, რიტმისა და ტემპის შეგრძნება, ამასთან, გადაუჭარბებელი ქმედება სცენაზე, — დიდ ესთეტიკურ კმაყოფილებას რომ ანიჭებდა მაყურებელს. თამარ წულუკიძე, მისთვის დამახასიათებელი ლირიზმით, მკვეთრად გამოკვეთილი, დამოუკიდებელი სახეა თეატრალურ ხელოვნებაში.

მაგონდება, ნორჩი, მშვენებით სავსე თამარის ფერია „სინათლეში“ (ი. გედევანიშვილის პიესა-ზღაპარი), ეს იყო ცით მონაბერი ნიავი, სპეტაკი, ვით მთის თოვლი, ხმაწკრიალა, როგორც ცისკრის ზარი.

ოფელია — იგივე ფერია, მაგრამ მიწიერი (შექსპირის „ჰამლეტი“), მზეთამზე (ამავე სახელწოდების პანტომიმაში. დადგმა კ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის, მუსიკა თ. ვახვახიშვილის), ქართველი ფეოდალის ასული, ნაზი, კეკლუცი, მჩქეფარე, როგორც ანკარა წყარო, მაგრამ მტრის ურდოებისაგან ტრქამოჭრილი, მტევნებდასრესილი ვაზი, კაეშნით სავსე უმშვენიერესი ასული საქართველოსი.

ილტანი (ა. გლებოვის პიესა „ზაგმუკი“, დადგმა ალ. ახმეტელისა), კისკისა მონა ქალი, რომელსაც მონური ბედის წყალობით გაკოტრებული საკუთარი მამა ბაზარზე საჯაროდ ჰყიდის, მისი სიყვარულისა და ტრფობის გარიგრაჟზე.

ილტანი დგას მორცხვად, კვარცხლბეკს კი მგლებივით მისევიან ეგვიპტის მსუნაგი ვაჭრები, თვალხარბად შეჰყურებენ ტანშიშველ გოგონას. ილტანი — თამარ წულუკიძე ამ დროს მარმარილოში გამოკვეთილ ქანდაკებას გავდა. ვის არ ახსოვს რუსთაველის თეატრის აღორძინების ბრწყინვალე ხანა. განსხვავებული სცენური სტილის შემოქმედის, ჰეროიკულ-რომანტიკული თეატრის ფუძემდებლის, სცენის უნიჭიერესი ოსტატის სანდრო ახმეტელის დადგმები: „ლამარა“ — პიესა-პოემა სიყვარულზე, ძმობამეგობრობაზე, ერთობაზე, რომელმაც თეატრსა და მის დამდგმელს მსოფლიო სახელი და აღიარება მოუხვეჭა. აქ, ამ წარმოდგენაში თამარ წულუკიძე — ლამარა განსახიერება იყო ბუნების შვილისა — ლაღი, მარდი, მაუბუქი, როგორც ბუერა, ხელი, როგორც ლომის ბოკვერი, მას თან მოჰქონდა მაღალი მთის სილაღეც, მთიელი ქალის სურნელებაც და დასეტყვილი ყვავილის უდროოდ ჭკნობაც. ანდა, სანდრო ახმეტელის დადგმაში — ფ. შილერის „ინ ტირანოს“ („ყაჩაღები“) — თამარის ამალია, უაღრესად ადამიანური, მასში შერწყმული იყო პოეტური სული, რომანტიკული აღმაფრენა, კეთილშობილი პათოსი და ქალური სილამაზე.

რომელი ერთი როლი ჩამოვთვალო, რაც თამარ წულუკიძეს რუსთაველის თეატრის სცენაზე განუხორციელებია. მისი მარცხი არ მახსოვს. გამარჯვება კი მრავალი.

თამარ წულუკიძე, თავისი შემოქმედებით, ლამაზ ლირიკულ სიმღერას გავდა. სიმღერას, რომელიც ლრწად ჩაგრჩენია გულში, დაუტკბიხარ, მოუხიბლავხარ. გახსოვს და გინდა, რომ ეს ტკბილი სიმღერა გამეორდეს, მაგრამ...

1930 წელს, საბჭოთა ხალხის თეატრალური ხელოვნების პირველ ოლიმპიადაზე, რუსთაველის თეატრმა გააკვირვა მოსკოვი, აღტაცებაში მოიყვანა მოსკოველი მაღალი მოთხოვნილების თეატრალური მაყურებელი. ამ გასტროლით რუსთაველის თეატრი მსოფლიო თეატრების პირველ რიგში დაწინაურდა. თეატრისათვის ეს მოგზაურობა განუმეორებელ ტრიუმფად იქცა.

მოსკოველი მაყურებელი რუსთაველის თეატრის მსახიობებს აღტაცებულ შეხვედრებს უწყობდა, არა მარტო თეატრში წარმოდგენის დროს, ქუჩაშიც. როგორც კი დაინახავდნენ ქართველ მსახიობებს, ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: «Вот руставельцы идут!». მას შემდეგ „რუსთაველელები“ დაერქვათ.

მახსოვს, ერთ კვირა დღეს, სპექტაკლ „ლამარას“ შემდეგ, მოსკოვის მცირე თეატრის წინ მოედანზე, უამრავი ახალგაზრდობა დიდხანს უცდიდა წარმოდგენაში მონაწილე მსახიობების გარეთ გამოსვლას.

აგერ, თეატრიდან გამოვიდა თამარ წულუკიძეც და მთელმა ახალგაზრდობამ მისკენ იხუვლა შეძახილებით: «Вот она, вот она, Ламара, Ламара!».

მიესივნენ მსახიობს და ხელში აიტაცეს.

ამ ყიჟინამ, ცოტა არ იყოს, შეაკრთო თამარი, მაგრამ უმალ დაწყნარდა, როდესაც დაინახა მისკენ გამოწვდილი ხელები და ავტოგრაფს რომ სთხოვდნენ.

დიდხანს ურიგებდა თამარი ავტოგრაფებს ახალგაზრდებს, ზოგს მისავე სურათზე, ზოგს უბის წიგნაკში უწერდა სამახსოვრო ხელწერას, დიდი რუსი მწერლისა და დრამატურგის ოსტროვსკის ქანდაკების კვარცხლბეკზე მიყრდნობილი.

ბოლოს თამართან მივიდა ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, გაუწოდეს „ლამარას“ როლში გადაღებული მისი სურათი და სთხოვეს ავტოგრაფი: «Вот скоро будет у нас ребенок, если родится дочка мы назовём её Вашим именем—«Ламара», а если сын, то он будет называться Миндия, Торгвай или Ичо... Просим Вашего разрешения... мы молодожены очарованы Вашими спектаклями: «Анзор», «Разлом», «Город ветров», «Ламара». — Это шедевры. Мы восхищены Вашей игрой...»

თამარმა ღიმილით ნება დართო, რომ მათ ახლადშობილებს ეს არჩეული სახელები დარქმეოდათ: ლამარა ან მინდია; თორღვაი ან იჩო და თავის სურათზე ასეთი წარწერა გაუკეთა: «Будущей Ламаре от «Ламары» — Тамара Цулукидзе».

რუსი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ამ წარწერით ცას ეწვივნენ სიხარულით.

რუსთაველის თეატრის სპექტაკლებით გამოწვეული ხალხის აღფრთოვანება დიდხანს არ დამცხრალა. როდესაც თეატრი მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა, თითოეული მსახიობის თუ სანდრო ახმეტელის სახელზე უამრავი წერილი მოდიოდა მოსკოვიდან, რუსი მაყურებლიდან თუ უცხოელი ჟურნალისტებიდან. თეატრის სპექტაკლებით და მსახიობებით მოხიბლულნი, ახლა წერილობით უზიარებდნენ თავიანთ აღტაცებას ადრესატს ასეთი მისამართით: «Тбилиси, Театр Ахметели, Ламаре Цулукидзе».

რა თქმა უნდა, წერილი ადრესატს საკუთარ ხელში ბარდებოდა, არ იკარგებოდა, რადგან კონვერტს ერთ კუთხეში ფოსტის მიერ მიწერილი ჰქონდა: „ცნობილია“.

ვაი, რომ ეს კონვერტები ასეთი მისამართებით, თქმულის სინამდვილის დასადასტურებლად, როგორც ფაქტიური დოკუმენტი, თამარმა ვერ შემოინახა. ჩვენ სარწმუნოდ დაგვრჩა მხოლოდ ჩვენი მეხსიერება, სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრის ბედნიერ დღეთა მოსაგონებლად.

აი, რატომ ღელავდა თამარი, რატომ უთრთოდა სხეული, მშობლიური რუსთაველის თეატრის სცენაზე თავის, როგორც მსახიობის, მეორედ დაბადების დღეს მარია ალექსანდროვნას როლში.

ხალხის გულწრფელმა ტაშმა მსახიობს ერთ წუთს ყველაფერი გაახსენა, მაგრამ გულის გრძნობას არ დაემორჩილა, ის დღეს დედას თამაშობდა.

მიხეილ ყვარელაშვილი,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი.



კამერული ანსამბლის კლასში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბატონობს მუსიკა

1923 წლის შემოდგომაზე დედაქალაქის მუშათა რაიონში — ნაძალადევში მუსიკალური მუშფაკი გაიხსნა.

ზაქარია ფალიაშვილი, ია კარგარეთელი, ლევან ფალიაშვილი, კოტე ფოცხვერაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, ანასტასია ვირსალაძე, ლუარსაბ იაშვილი, შალვა და გიორგი თაქთაქიშვილები, ვანო მურადელი ნამდვილ გულშემატკივრებად მოევლინენ ამ მუსიკალურ კერას. ახლადგამარჯვებულ საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში კულტურული და სულით ფაქიზი ადამიანები ესაჭიროებოდა. მუსიკალური მუშფაკი ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მუშათა და მათი შვილების კულტურული კერა იყო.

1923 წელს დაარსებული მუსიკალური მუშფაკი შემდეგში მუსიკალურ ტექნიკუმად გადაკეთდა, უფრო მოგვიანებით კი — მუსიკალურ სასწავლებლად. დღეს 50 წლის იუბილარს, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის თბილისის მე-3 სამუსიკო სასწავლებელი ეწოდება. თუ 1923 წელს მუშფაკს 30 მოსწავლე და 10 პედაგოგი ჰყავდა, ამჟამად როგორც დღის, ასევე დაუსწრებელ საფორტეპიანო, სიმებიან, სასულე, ვოკალურ და თეორიულ-საკომპოზიციო განყოფილებებზე 950 მოსწავლე იღებს განათლებას. 50 წლის მანძილზე სასწავლებელი 4 ათასამდე მოსწავლემ დაამთავრა.

32 კომპოზიტორი ამ სასწავლებლის აღზრდილია, მათ შორის — რ. ლაღიძე, ა. ჩიმაკაძე, ნ. მამისაშვილი, ვ. აზარაშვილი, ნ. ვაწაძე, გ. ყანჩელი, ალ. რაქვიაშვილი. მშობლიური სასწავლებელი ასახელეს ვოკალური ხელოვნების წარმომადგენლებმა: ლ. გოციRიძემ, ა. მიქაბერიძემ, ნ. ტულუშმა, პ. თომაძემ, შ. კიკნაძემ, ნ. მიქელაძემ. აქ ეზიარენ მუსიკის ანბანს ცნობილი შემსრულებლები: ბ. ჭიაურელი, ალ. ბეგალიშვილი, რ. გორელაშვილი, მ. ხატელიშვილი, თ. ჭიაურელი და სხვები.

დიდი მეგობრობა აკავშირებს მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის სასწავლებელს მოსკოვის იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის, კიევის გლიერის სახელობისა და ერევნის საიათნოვას სახელობის სასწავლებლებთან. თბილისელი მოსწავლეები ხშირად გამოდიან კონცერტებით მოსკოვის საწარმოებში, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, კოლმეურნეობებში, მესაზღვრეებთან. სასწავლებელი უცხოეთის საზოგადოების საჩვენებელ დაწესებულებათა სიაშია და მასპინძლობს მრავალ ავტორიტეტულ უცხოეთის დელეგაციას, მუსიკოს-შემსრულებელსა და სპეციალისტს.

აღმზრდელ კერას შორს გაუთქვეს სახელი ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანმა სოლისტმა მ. კოზლოვსკაიამ, ლენინგრადის ფილარმონიის სოლისტმა ნ. ხაუსტოვამ, მოსკოვის კონსერვატორიის თეორიული ფაკულტეტის დეკანმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა დ. არუთინოვმა, ერევნის სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა ე. უზუნიანმა, გორკის კონსერვატორიის სტუდენტმა ნანა გვასალიამ.

ტალანტები მხოლოდ თავად არ მოდიან სასწავლებელში, ბევრ მათგანს პედაგოგები ეძებენ. მახარაძის რაიონიდან ჩამოიყვანეს და ვოკალური განათლება მისცეს სვეტლანა კალანდაძეს, ყოფილ მეჩაიეს, რომელიც ამჟამად თბილისის კონსერვატორიის სტუდენტია. ასევე მიიზიდა სასწავლებელმა ვოკალური ხელოვნების დასაუფლებლად ყოფილი კოლმეურნე იამზე პერტაია, ამჟამად თბილისის ფილარმონიის სოლისტი. კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი იური მელქაძე მუსიკოს-პედაგოგებმა ვოკალისტად გახადეს.

წარმატებებს, რომლებსაც დღეს სასწავლებელი აღწევს, უნდა ვუმადლოდეთ აღმზრდელებს. პედაგოგთა უმრავლესობას ახალგაზრდობა შეადგენს, მათი ინიციატივით ჩამოყალიბდა სასწავლებელში პედაგოგ ვაჟთა ვოკალური ანსამბლი (შვიდკაცა) და პედაგოგთა კამერული ორკესტრი.

და მაინც ყველაფერში, რაც კეთდება სასწავლებელში, მისი დირექტორის — ქსენია ჯიქიას ხელი ურევია, რომელიც დაუცხრომელი ენერგიის ადამიანი, საქმის ენთუზიასტი და ქართული მუსიკალური ხელოვნების მოამაგეა.

ქსენია ჯიქიამ მუსიკალური განათლება მშობლიურ ქუთაისში, მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში მიიღო. აქ მას ფორტეპიანოს ასწავლიდა პეტერბურგის კონსერვატორიის აღზრდილი ლუდმილა ნაკაშიძე. თბილისის კონსერვატორიაში ქსენია ჯიქიას პედაგოგი იყო ანასტასია ვირსალაძე. შემდეგ მან სწავლა განაგრძო მოსკოვის კონსერვატორიაში პროფესორ ნეიჰაუზთან. აქედან დაბრუნდა იგი ფილარმონიის სოლისტად თბილისში, გამოდიოდა სოლო კონცერტებით. იგი მოწოდებით პედაგოგი იყო და როგორც ნეიჰაუზი აღნიშნავდა, მისი მოწაფეებიდან ყველაზე მეტად მისი პედაგოგიური მემკვიდრეობა ქსენია ჯიქიას ერგო.

ჩვენ ვესაუბრეთ პატივცემულ ქსენიას, ვთხოვეთ ეამბნა მომავლის მიზნებზე.

— ჩემი მიზანია, — გვითხრა მან, — ჩვენს სკოლას ჰქონდეს საკუთარი შენობა. იგი შეხიზნულია თბილისის მე-4 საშუალო სკოლის შენობაში და დიდად შევიწროვებულ მდგომარეობაშია. მეცადინეობა მიმდინარეობს მოუხერხებელ, ნახევრადბნელ, უჰაერო ოთახებში, სამეცადინო ფართობის სიმცირის გამო გაკვეთილები მასწავლებელთა ბინებზე ტარდება. სტუდენტებს უხდებათ მთელი დღე გზაში ყოფნა ერთი პედაგოგიდან მეორესთან მისასვლელად. სასწავლებელს არ გააჩნია ბუფეტი და მოსწავლეები საუზმისათვის ქუჩაში გადიან. კულტურის სამინისტრო უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ ამ დიდი ტრადიციების მქონე სასწავლებელს თავისი საკუთარი შენობა ჰქონდეს.

...სტუმრად ჩამოსულმა ერთ-ერთმა დიდმა მუსიკოსმა, რომელიც სასწავლებლის მუშაობას გაეცნო, თქვა:

აქ მშრალი პედაგოგიზმი კი არ იგრძნობა, არამედ მუსიკა ბატონობსო.

და თუ შესაფერი პირობები ექნებათ, მუსიკა მართლაც იბატონებს.

ლია ნინიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაძვის გადარჩენა

ოლია გუმბერიძე



ბორჯომის ხეობაში ნაძვმა ფერი იცვალა. ჭარადმწვანე ტოტები გამოხუნდა, გახმა და შეწითლდა. ეს ფერისცვალება თავდაპირველად სოფელ ჩითახევთან ორასამდე ნაძვს დაეტყო, იქ, სადაც ჩითახევჰესის მშენებლობა გაჩაღდა და დიდძალი დაუმუშავებელი მერქანიანი ხე-ტყე შემოზიდეს რუსეთიდან. აღმოსავლეთის ნაძვი ავად გახდა. ავადმყოფობა სურდოსავით მოედო ხეობას, აჰყვა მაღლა და მაღლა, ბაკურიანამდე მივიდა. თვალწინ ილუპებოდა საქართველოს ტყე...

თბილისის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა, პროფესორ კობახიძის ინიციატივით ენთუზიასტთა ჯგუფი შექმნა. დაიწყო ნაძვის დაავადების შესწავლა. გამოირკვა, შემოტანილ მერქნიან ხეებს შემოჰყოლია ნაძვის დიდი ლაფანჭამია, რომელიც დაბუდებულა ნაძვის ლაფანში და ღრღნიდა, აცლიდა გულს, ახმობდა ტოტებს, ვრცელდებოდა უსწრაფესად ხიდან-ხეზე. ეს ლაფანჭამია რუსეთსა და ევროპაში უფრო ადრე გასჩენოდა ხეებს, მაგრამ ვერ მორეოდა და დღეს არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს მათთვის.

საქართველოში კი ჩვენმა აღმოსავლეთის ნაძვმა ვერ აიტანა ამ მავნებლის შემოტევა, თანაც მას ვერავითარი მოწინააღმდეგე ვერ დაახვედრა, უფრო სუსტი აღმოჩნდა და სიკვდილი დაიწყო.

თვალწინ ილუპებოდა ჩვენი სიამაყე.

ლაფანჭამიასთან ბრძოლა ორი გზით შეიძლებოდა: ქიმიური საშუალებებით და ბიოლოგიური მეთოდით. საკონსტრუქტორო ბიუროებმა ხელსაწყო-იარაღები დაამზადეს, რომ ქიმიური წამლებით სასწრაფოდ შეეტიათ ლაფანჭამიასათვის. ამ წამლების გამოყენება ყველგან ვერ მოხერხდა მთიანი რელიეფის გამო, გარდა ამისა, იწამლებოდა ნიადაგი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, საშიშროება შეექმნა ადამიანსაც. ამიტომ მეტი იმედები ბიოლოგიური მეთოდის გამოყენებაზე დაამყარეს. ამ მეთოდის გამოსაყენებლად კი თავდაპირველად საჭირო იყო თვით მავნებლის ბიოლოგიური თვისებების შესწავლა. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან 1966 წელს შეიქმნა ნაძვის დიდ ლაფანჭამიასთან ბრძოლის მეთოდების შემსწავლელი განყოფილება. დადგინდა, რომ ლაფანჭამიის დამარცხება შეუძლია პარაზიტ ხოჭოს — რიზოფაგს.

თავდაპირველად ეს რიზოფაგი ჩეხოსლოვაკიიდან შემოიყვანეს. იქ, სადაც ახლად შემოყვანილი პარაზიტი ხოჭოები — რიზოფაგები გაუშვეს, მათ გაანადგურეს ლაფანჭამია და ნაძვმა გამოცოცხლება დაიწყო.

წაღვერის შესასვლელთან, სადაც მდინარე გუჯარეულას ხმაური ისმის, სპეციალური

ლაბორატორია შეიქმნა, რომ მოემრავლებინათ ლაფანჭამიის გამანადგურებელი ხოჭოები და გადაერჩინათ ტყეები.

საქართველოში 129 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული აღმოსავლეთის ნაძვი და 110 ათას ჰექტარზე იგი დაავადებული აღმოჩნდა. წაღვერის ლაბორატორია გახდა ის იმედის ნავსადგური, საიდანაც ელოდნენ შველას ნაძვები. პირველად აქ ორი ახალგაზრდა სპეციალისტი — მერი თვარაძე და ივეტა კრავეიშვილი მოვიდნენ, ისინი იქცნენ წაღვერელებად და ცულითა და პინცეტით, შარვლითა და ზურგჩანთით დღეში ათეულ კილომეტრს გადიოდნენ ნაძვის დაავადებული კერის მოსაძებნად. მათ გაიცნეს თვრამეტივე სატყეო მეურნეობის თანამშრომლები და მოამარაგეს რიზოფაგებით, სათანადო ინსტრუქციითა და რჩევით.

წარმოდგენაც ძნელია იმ დიდი შრომისა, რაც უნდა დახარჯულიყო ასეულ ჰექტარზე მობინადრე ნაძვებთან მისასვლელად, მათი „იარების“ გასასინჯად, მათში სამკურნალო ხოჭოების ჩასასახლებლად. ჩანს, აღმოსავლეთის ნაძვს გადაშენება არ ეწერა და ქიმიკოს-ლაბორანტებით და მეცნიერ-ენტომოლოგებით ავსილმა წაღვერმა გამოაცხადა საერთო სახალხო შეტევა ტყეების გადასარჩენად.

ეს ძნელი მისია თითქმის შესრულდა. დღეს ბორჯომის ხეობაში დაავადებულ ხეთა რიცხვი 7 პროცენტს აღწევს. მაგრამ ლაფანჭამია ჯერ არ დამარცხებულა, იგი აქედან „გაძვრა“ და დასახლდა რაჭის, ქვემო სვანეთის, სამხრეთ ოსეთის ტყეებში. ამჟამად, როდესაც მავნებელთან ბრძოლის ყოველგვარი გამოცდილი ხერხები და მეთოდები არსებობს, ლაფანჭამია აქაც დამარცხდება.

მთელი მუშაობის ცენტრი ისევ წაღვერის ლაბორატორიაა. პატარა ფინური ბინები, პრიმიტიული ლაბორატორია მალე ახალი, სრულყოფილი, სპეციალურად აგებული ლაბორატორიებით და მოწყობილობებით შეიცვლება.

ზაფხულში, როცა ჰაერი გაჟღენთილია ნაძვის მძლავრი სურნელით, წაღვერში ტევა არ არის. ბრიგადები გადიან ტყეში, მიაქვთ საჭირო იარაღები, ებრძვიან მავნებლებს...

ზამთარში, როცა იძინებს ბუნება, სძინავს ნაძვის დიდ ლაფანჭამიასაც. წაღვერში მყუდროებაა. მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელია დარჩენილი, — ოლია გუმბერიძე,. ლილი კობახიძე, სპარტაკ ჩიტაძე, გიორგი არბოლიშვილი, ზურაბ ბეშკენაძე, რომლებიც ლაბორატორიაში ამრავლებენ ლაფანჭამიას მისი გამანადგურებელ ხოჭოების გამოსაკვებად და გასამრავლებლად.

ოლია გუმბერიძე, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი უკვე ხანშიშესული ქალია. იგი მრავალი წელია წაღვერის ლაბორატორიაში მუშაობს. ალბათ, სანამ უკანასკნელ ნაძვს არ განკურნავს, აქაურობას არ მიატოვებს.

როცა დაზამთრდება, მთაში ჩამოთოვს და



ნაძვის ტოტებსაც სქელი თეთრი თოვლი დაჰფარავს, დეიდა ოლია (ასე ეძახიან მას ახალგაზრდები) საგაზაფხულო სამზადისს იწყებს, ხოჭოებს ამრავლებს.

ლაფანჭამიისა და მისი პარაზიტის გამრავლების მეთოდი მარტივია და ძალზე შრომატევადი. გასამრავლებლად იყენებენ ნაძვის გადანაჭრებს (ანუ კოტრებს), რომელთა სიმაღლე 40–50 სმ-ია. მათ ათავსებენ ტაშტებში, სადაც მდინარის ქვიშაა ჩაყრილი, გადაჭრილ თავს 3 სმ სიგანისა და 4-5 სმ სიღრმის ჭრილს უკეთებენ, ამ ჭრილში ათავსებენ ლაფანჭამიის მატლებს, (მხოლოდ 1, 2, 3, 4 ასაკამდე, ვინაიდან მე-5 ასაკისა ჭუპრდება). თუ კოტრის დიამეტრი 25 სანტიმეტრია, მაშინ მის ხნულში 1000-მდე მავნებლის მატლი თავსდება. როდესაც ლაფანჭამიის მატლები კოტრის ლაფანში შეიჭრებიან (დაახლოებით 8 დღეში), მაშინ მათზე სანადიროდ და გამოსაკვებად პარაზიტებს, დიდი რეზოფალუსის ხოჭოებს უშვებენ. ეს პარაზიტები 2 თვეში იძლევიან თაობას, ესე იგი მრავლდებიან.

მომავალში ხოჭოების გამრავლების მეთოდი უფრო გამარტივდება. ლაფანჭამიასაც და მის პარაზიტებსაც კოტრების გარეშე, სინთეზურ ხელოვნურ საკვებ არეზე მოამრავლებენ.

..ლაფანჭამიაზე შეტევა, რომელიც კარგა ხანია დაიწყო, წარმატებით გრძელდება. აღმოსავლეთის ნაძვი აგრძელებს სიცოცხლეს.

ლია კაკაბაძე



12403

კ მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

# ქალთა შრომის კანონმდებლობა

**როგორც ცნობილია, გასული წლის ივლისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო შრომის კანონთა ახალი კოდექსი. ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზინაიდა კვაჭაძეს ჩვენი მკითხველებისათვის განემარტა, როგორ არის მოწესრიგებული ქალის შრომასთან დაკავშირებული საკითხები შრომის კანონთა ახალ კოდექსში.**

* * *

ჩვენს ქვეყანაში შრომის კანონმდებლობის წარმოშობა და განვითარება დიდი ლენინის სახელთან არის დაკავშირებული. მისი უშუალო მონაწილეობით ჯერ კიდევ 1918 წელს მიღებულ იქნა რუსეთის სფს რესპუბლიკის შრომის კანონთა პირველი კოდექსი, რომელმაც იურიდიულად განამტკიცა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიდი მონაპოვარი შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის დარგში.

1922 წელს მიღებულ იქნა რუსეთის სფს რესპუბლიკის შრომის კანონთა მეორე კოდექსი, რომელმაც გააფართოვა მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებების გარანტიები, დაადგინა 8-საათიანი სამუშაო დღე.

სოციალიზმის მშენებლობის ყველა ეტაპზე შრომის კანონმდებლობა არსებით როლს ასრულებდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებაში, შემოქმედებით გავლენას ახდენდა სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის განვითარებაზე.

კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განსახორციელებლად საბჭოთა ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო მეტად იზრდება შრომის კანონმდებლობის როლი და მნიშვნელობა.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობის შემუშავების დროიდან საკმაოდ დიდი ხანი გავიდა. ამ პერიოდში შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური პირობები, ბევრი ცვლილება მოხდა შრომითი ურთიერთობების სფეროშიც. ამიტომ ძველი კოდექსის ზოგიერთმა დებულებამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და მომწიფდა პირობები ახალი შრომის კანონმდებლობის მიღებისათვის. 1973 წლის ივლისში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მერვე მოწვევის პირველმა სესიამ დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლები, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქალთა შრომის საკითხებს.

ახალ კოდექსში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალი შრომის, შრომის ანაზღაურების, დასვენებისა და სოციალური უზრუნველყოფის ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც მამაკაცი.

ამასთან ერთად, ქალის ორგანიზმის ფიზიოლოგიური თავისებურებების, საზოგადოებაში მისი როლის გათვალისწინებით საბჭოთა შრომის კანონმდებლობა, საერთო ნორმების გარდა, რომლებიც ვრცელდება ყველა მუშასა და მოსამსახურეზე სქესის განურჩევლად, აწესებს მთელ რიგ სპეციალურ ნორმებს ქალის შრომის დაცვის შესახებ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო საქართველოს სსრ შრომის კანონთა ახალი კოდექსი.

ქალის შრომითი უფლებები და საგანგებო შეღავათები, რომლებსაც მას აძლევენ დედობასთან დაკავშირებით, ძირითადად ჩამოყალიბებულია ამ კოდექსის XII თავში — „ქალის შრომა". კოდექსის მიხედვით აკრძალულია ქალის შრომის გამოყენება მძიმე სამუშაოებზე და შრომის მავნეპირობებიან სამუშაოებზე, აგრეთვე მიწისქვეშა სამუშაოებზე, გარდა ზოგიერთი მიწისქვეშა სამუშაოსი (არაფიზიკური მუშაობა ან მუშაობა სანიტარული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებში).

აკრძალულია ქალების მიერ ისეთი სიმძიმეების გადატანა ან გადაადგილება, რომლებიც აღემატება მათთვის დადგენილ ზღვრულ ნორმებს. შეზღუდულია ქალის შრომის გამოყენება ღამის სამუშაოებზე, სახალხო მეურნეობის იმ დარგების გარდა, სადაც ეს გამოწვეულია განსაკუთრებული აუცილებლობით და ნებადართულია, როგორც დროებითი ღონისძიება.

კანონით აკრძალულია ღამის ან ზეგანაკვეთურ სამუშაოზე, ანდა დასვენების დღეებში ორსული ქალების, მეძუძური დედების ან იმ ქალების მუშაობა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ.

ნორმა, რომელიც კრძალავს ორსული ქალების შრომის გამოყენებას ღამის ან ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე, აგრეთვე დასვენების დღეებში, ამჯერად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 10 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, გავრცელდება ორსულობის მთელ პერიოდზე და არა ორსულობის მეხუთე თვიდან, როგორც ეს ადრე იყო.

ქალების ჯანმრთელობაზე ზრუნვის სულისკვეთებითაა გამსჭვალული ის სამართლებრივი ნორმებიც, რომლებიც აწესრიგებენ ქალების მივლინებაში გაგზავნას. ახალი წესის თანახმად დაუშვებელია ორსული ქალების (ორსულობის სტადიის მიუხედავად), მეძუძური დედებისა და იმ ქალების მივლინებაში გაგზავნა, რომელთაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ. ზემოთთქმულთან მჭიდრო კავშირშია კოდექსის ნორმა იმის შესახებ, რომ ქალები, რომლებსაც ერთი წლიდან რვა წლის ასაკამდე ბავშვები ჰყავთ, შეიძლება ჩაბმული იქნენ ზეგანაკვეთურ სამუშაოებში ან წავიდნენ მივლინებაში მხოლოდ თავიანთი სურვილით.

კანონი ითვალისწინებს შრომის პირობების შექმნას ორსული ქალებისათვის. ისინი, საექიმო დასკვნის შესაბამისად, ორსულობის პერიოდში გადაჰყავთ სხვა, უფრო მსუბუქ სამუშაოზე და მათ უნარჩუნებენ საშუალო ხელფასს. მეძუძური დედები და ქალები, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ და არ შეუძლიათ წინანდელი სამუშაოს შესრულება, ადრინდელი სამუშაო ხელფასის შენარჩუნებით, გადაჰყავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სამუშაოზე ბავშვის კვების მთელი დროის მანძილზე, ან მანამ, სანამ ბავშვს შეუსრულდება ერთი წლის ასაკი.

ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ შვებულება, რომლის ხანგრძლივობაა ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღე მშობიარობამდე და ორმოცდათექვსმეტი კალენდარული დღე მშობიარობის შემდეგ. ამ პერიოდში მათ ეძლევათ დახმარება ხელფასის მთელი ოდენობით ორსულობისა და მშობიარობისათვის აღებული მთელი შვებულების განმავლობაში. არანორმალური მშობიარობისა და ორი ან მეტი ბავშვის შობის შემთხვევაში, მშობიარობის შემდეგ ქალებს შვებულება ეძლევა სამოცდაათი კალენდარული დღის ხანგრძლივობით. ეს შვებულება არ შედის ყოველწლიური შვებულების ანგარიშში.

ყოველწლიური შვებულების აღება ქალს შეუძლია როგორც დეკრეტული შვებულების წინ, ისე მის შემდეგ, მიუხედავად ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, საწარმოში მისი მუშაობის სტაჟისა.

იმ შვებულების გარდა, რომელიც ქალს ეძლევა ორსულობის და მშობიარობის გამო, მას, მისი განცხადების თანახმად, შეუძლია აგრეთვე მიიღოს დამატებითი უხელფასო შვებულება და ამ შვებულების განმავლობაში ენახება სამუშაო ადგილი (თანამდებობა), მაგრამ ეს შვებულება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ, ნებისმიერ დროს, ვიდრე ბავშვს შეუსრულდება ერთი წლის ასაკი. და ეს დამატებითი უხელფასო შვებულება ჩაითვლება მუშაობის საერთო და უწყვეტ სტაჟში და სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟშიც.

მზრუნველობამ ქალისადმი, რომელსაც შვილად აჰყავს პატარა ბავშვი, თავისებური გამოხატულება ჰპოვა კანონში. სახელდობრ, ქალს, რომელმაც ახალშობილი ბავშვი იშვილა უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, ეძლევა შვებულება ბავშვის შვილად აყვანის დღიდან, ვიდრე ბავშვის დაბადებიდან გავიდოდეს ორმოცდათექვსმეტი დღე. ამ ხნის განმავლობაში მას ეძლევა დახმარება სოციალური დაზღვევის ხაზით. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, თავისი განცხადების თანახმად, ქალს შეუძლია ისარგებლოს დამატებითი უხელფასო შვებულებით, ვიდრე ბავშვს შეუსრულდება ერთი წელი. და, საერთოდ, ყველა იმ შეღავათითა და უპირატესობით, რაც კანონითაა დადგენილი მეძუძური დედებისა და იმ ქალებისათვის, რომლებსაც რვა წლის ასაკამდე შვილები ჰყავთ.

ჩვენი მომავალი თაობის ინტერესებიდან გამომდინარე, მეძუძურ დედებსა და ქალებს, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, საერთო შესვენების გარდა ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის კვებისათვის, სულ ცოტა ყოველ სამ საათში ერთხელ. შესვენება ბავშვის კვებისათვის ითვლება სამუშაო დროდ და მისი ანაზღაურება ხდება საშუალო ხელფასის მიხედვით.

შესვენების დროს და მისი მიცემის წესს დედის სურვილის გათვალისწინებით ადგენს ადმინისტრაცია პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან ერთად.

იმ ღონისძიებათა სისტემაში, რომლებიც მიმართულია ქალის შრომის ყოველმხრივი დაცვისაკენ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალის შრომითი უფლებების გარანტიებს. აკრძალულია უარის თქმა სამსახურში მიღებაზე ან ხელფასის შემცირება ქალის ორსულობისა ან ბავშვის კვებასთან დაკავშირებული მოტივით. აკრძალულია ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან ორსული ქალების, მეძუძური დედებისა და იმ ქალების დათხოვნა, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ (ეს შესაძლებელია მხოლოდ საწარმოს, ორგანიზაციის სრული ლიკვიდაციის დროს. ამ შემთხვევაშიც დათხოვნა დაშვებულია . სავალდებულო შრომითი მოწყობით). კანონის ამ მოთხოვნების დარღვევა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

კანონი ავალდებულებს საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციას, პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით, აუცილებლობის შემთხვევაში უფასოდ ან შეღავათიან პირობებში მისცეს ორსულ ქალებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები და აგრეთვე აღმოუჩინოს მათ მატერიალური დახმარება.

ასევე იმ საწარმოებში და ორგანიზაციებში, სადაც ფართოდ იყენებენ ქალთა შრომას, უნდა მოეწყოს საბავშვო ბაგები და ბაღები, ოთახები ძუძუთა ბავშვების კვებისათვის, ოთახები ქალის პირადი ჰიგიენისათვის და სხვა.

იმ ქალთათვის, რომლებიც მუშაობენ ცხელ საამქროებში, საფეიქრო მრეწველობაში და შრომის მძიმე პირობებიან სხვა სამუშაოებზე, იმ ქალთათვის, რომლებმაც შობეს 5 და მეტი შვილი და აღზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე, კოდექსით გათვალისწინებულია მოხუცებულობის პენსიის მიღების შეღავათიანი პირობები (ასაკის, სტაჟის ან მხოლოდ ასაკის შემცირებით).

ყოველივე ის, რასაც შრომის კოდექსი ითვალისწინებს ქალთა შრომითი უფლებების გაფართოებისა და განმტკიცების საქმეში, ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდი მზრუნველობითა და პატივისცემით არის საბჭოთა სახელმწიფოში გარემოსილი ქალი, როგორც კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი.

ჩვენი ვალია, სათანადო პროპაგანდა გავუწიოთ შრომის კანონთა ახალ კოდექსს და კონტროლი დავაწესოთ ცხოვრებაში მის სწორად გატარებაზე. ამით ხელი შევუწყოთ ქალს — დედას შვილების წესიერად აღზრდაში და ქალს — მშრომელს, რომ მან თავისი დიდი წვლილი შეიტანოს ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებაში.

# წაუკითხეთ პატარებს

ნუნუ ლალიძე

## ტელეფონით

ჩემი ნახვა ბებიას
ძლიერ მონატრებია,
ფეხით როგორ წამოვა,
მოხუცია ბებია.
ტელეფონით გავძახებ:
საყვარელო ბაბუკა,
ჩემი ცხენით წამოდი,
მანდ აბია, სახლს უკან.

## ქიტესა

ნეტავ რად დამარქვა
დედიკომ ქიტესა,
გავუწყერ ძალიან,
ვიტირე კიდეცა.

მან მითხრა: ქიტესაც
იქნება ლამაზი,
თუკი შენ გამოხვალ
ვაჟკაცი, მამაცი.

მე დედის სიტყვები
ყოველთვის მამშვიდებს,
ჩავფიქრდი, ტირილი
შევწყვიტე მაშინვე.

შუშანა მგელაძე

## ზარმაცი

— ორიანი რომ მივიღე
როგორ მიხვდი, დედა?
— ჩიტმა მითხრა, ჩიტმა მითხრა,
ის ყველაფერს ხედავს.

— გინდა გითხრა საიდუმლოდ
რას ვფიქრობდი დილით?!
სჯობს სკოლაში მიკარნახოს
ჩიტმა გაკვეთილი.

## ჭკვიანი ცუგა

აწკრიალდა ზარი,
სახლში არვინ არი,
ფისომ ცუგას თათი გაჰკრა,
— არ გავუღოთ კარი?!
ცუგამ ფისოს შეუღრინა:
— იქნებ ქურდი არი!?

ნელი დარსაველიძე

## წაბლი

ეგ ბავშვები ნეტავ რატომ
შეგიყრია ციცქნა ეკა?
ბუტიაობ: „ცუდი წაბლი
რად მასობსო ხელში ეკალს".
შენ გგონია ხორცი არ მაქვს,
წაბლი ვარ და არ მაქვს სისხლი?
ჩვილს რომ ხელი არ შემახო
ეკლის ქურქი წამოვისხი.
დამაცადეთ, გავიზრდები,
ქურქის ღილებს გავხსნი ხელად
და წამოვალ სკუპი-სკუპით
პატარების მოსალხენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანდრეას გრიფიუსის „ქეთევან ქართველი"

ქეთევან წამებული, სახელოვანი ქართველი ქალი, ჩვენი ერის სხივნათელი გვირგვინი... ქალი, რომელიც შორეულ უცხოეთში უმალ შერაცხეს წმინდანად, ვიდრე თავის ქვეყანაში; ვის არ ალავსებს სიამაყის გრძნობით მისი წმინდა სახელის გახსენება! პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, ის შეება თვით სიკვდილზე საზარელ სახეს სიკვდილისას, თავი შესწირა სარწმუნოებას, მამულსა და შვილს. მარად ძველი და მარად ახალი, მარად შორეული და მარად მახლობელია ჩვენთვის ეს ამბავი.

მეჩვიდმეტე საუკუნის უდიდესმა გერმანელმა პოეტმა და დრამატურგმა ანდრეას გრიფიუსმა, 330 წლის წინათ შექმნა ტრაგედია „ქეთევან ქართველი", ამაღლებული, გულთბილი და მგზნებარე ქმნილება ქართულ თემაზე. სამიათას სტრიქონიან ტრაგედიაში გადმოცემულია საქართველოს მთელი ძნელბედობა, იმ კუშტი საუკუნის ამბავი, როცა სპარსეთის ლომად წოდებული ვერაგი შაჰ-აბაზი ძირფესვიანი ამოთხრით ემუქრებოდა ჩვენს ერს, და როცა რუსეთი მტკიცედ დაადგა ჩვენი ქვეყნის მფარველობისა და საუკუნო მეგობრობის გზას. „ვიდრე ქეთევანს არ ვიხსნი, მოსკოვის საქმეებს არ მივხედავო!" — აცხადებს რუსეთის ელჩი. და შემდეგ შეძრწუნებული ტოვებს შაჰის სასახლეს, გაიგებს რა, რომ ფიცმუხთალ შაჰს დაპირება ფეხქვეშ გაუთელავს, დედოფალი უწამებია („რას ენდობ კაცი ისპაჰანში და ვიღას ენდობ?").

ქეთევანი არაა ქედმოხრილი წმინდანი, ისაა ამაყი და ქედმოუხრელი მანდილოსანი, პატრიოტი, გამარჯვებული გმირი, რომელსაც ნება აქვს კიდეც მამულისათვის მსხვერპლად შეწირვისას განაცხადოს:

„ოდესმე ეტყვით საქართველოს: რაც უნდა მოხდეს,
ის არ წახდება, ვისაც ძალუძს ჩემსავით მოკვდეს!"

გრიფიუსის ტრაგედია მრავალგზის დაიდგა გერმანიაში. იმედი გვაქვს ჩვენი თეატრებიც დაინტერესდებიან ტრაგედიით, რომლის მთავარი გმირია ქეთევან წამებული, ავტორი კი — დიდი სილეზიელი პოეტი, რომელსაც შექსპირს და შილერს ადარებენ.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ მცირე ნაწყვეტებს გრიფიუსის ტრაგედიიდან, რომელიც ქართულ ენაზე მთლიანად თარგმნა აკაკი გელოვანმა და მოკლე ხანში ცალკე წიგნად გამოვა.

## პროლოგიდან „მარადისობა"

ო, შენ, კაეშნის სამეუფოს ტანჯულთა კრებავ!
შემოგარსულნო ვაი-ვიშით და ძვალთა გროვით,
რას მეძებთ, სადაც ყოველივე იმსხვრევა, ქრება,
ყოფნა იცვლება არყოფნით და სიამე — გლოვით?
ბრმანო დუხჭირნო! ვაი თქვენდა! სად მნახავთ, სადა!
ჩემს წინ გაქრებით, დაიმსხვრევით თქვენც, მსგავსად სხვათა!
წყაროს ნაცვლად რომ ეწაფებით გუბეთა მყრალთა,
და რას გამორჩით სინამდვილეს, სიზმრების გარდა!
მაცდურ სხივს მისდევს, ო, მოკვდავნო, თქვენი ცხოვრება,
შმაგმა სიგიჟემ დაგიბნელათ ჭკუა-გონება.
...ხშირად შეუძრავს გვირგვინოსან მეფეთა ტახტი
მორჩილთა კავშირს, რომ დაუკრავს ფოლადის ლახტი;
ბევრი ხელმწიფე დაცემულა მტვერში ცახცახით;
ბევრ მირონცხებულს მოხვედრია ხმალი, ნაჯახი...
...თქვენ, სრა-სასახლე სადგომად რომ გევიწროებათ,
უკან დახევა მოგიხდებათ, დასაღუპავებს,
და ვიწრო სახლი ძლივს დაიტევს დამსკდარ კუბოებს...
კუბო! რა ზუსტად ზომავს კაცსა და მის დროებას!
...ფიქრობთ, მეფენო, დაალწიოთ დაღუპვას თავი,
ვერ ამჩნევთ, როგორ დევნის თქვენს დღეს უკუნი შავი.
ჩქარობთ და ფხიზლობთ, გიხარიათ ცა მოკამკამე,
მაგრამ სუდარად დაგწოლიათ სამარის ღამე.
ზოგი უღირსი, ცრუ დიდებით თავაღებული,
პატივს მიაღწევს, ამაღლდება, და ძირს ეშვება —
მზის სიახლოვეს ცვილის ფრთები ლღვება, ეშლება,
სახელს იტეხს და ხალხს აცინებს გალაღებული.
გიჟებო! ვინც თქვენ მუხლებს გიყრით დიდების კართან,
რას ნატრობთ თქვენთვის, სიკვდილის და ვაების გარდა?
ფულის მონებო, ოქრო-ვერცხლზე შეყვარებულნო,
ქვეყნის სიმდიდრის მოხვეჭა რომ გიჩანთ ცხოვრებად,
მაშინ სად წახვალთ, მაზრიყ-მალრიბს შეფარებულნო,
განკითხვის ჟამს რომ ანგარიში მოგეთხოვებათ?..
...ვერ გიპოვნიათ, რაც არის აქ მარადიული,
გბოჟავთ სიგიჟე და ფუსფუსი ყოველდღიური.
ნახეთ, რა არის, საბრალონო, ველი ვაების!

ცრემლის, გოდების ნახეთ ჭალა, სახლი წამების,
სად ყულფით, შანთით და სადგისით ხუმრობს სიკვდილი.
ჩემს წინ ტახტია, სკიპტრა, მეფე ლონემიხდილი.
მტვერშია სახე, სამკაული, ქაღალდი, რკინა, —
ვდგავარ ციური და ნაგავი მიყრია წინა!
თქვენს ზემოთ არის აქ ის, რაიც იცინის მარად,
ქვემოთ — რაც იწვის და ირღვევა მთაში თუ ბარად.
ეს არის ჩემი სამეუფო. ვინც რა ინებოს,
ამოირჩიოს, ვინც არა და — ვეღარც იმეფოს!..
...მშვიდობით, არევ წარმავლობის! ტახტზე ვბრუნდები,
მახლავს ქართველთა დედოფალი სვებედნიერი,
მიწის ასული, ვინც დალეწა მიწის ხუნდები,
ეწამა, იხსნა ეკლესია, ტახტი და ერი.
ვის აქვს მისებრი მისწრაფება, აზრი მაღალი?
მისებრ დასცინეთ, რაც ფუჭია და წარმავალი,
მისებრ გაიღეთ სისხლი, დათმეთ ნაზი ოცნებაც,
შესწირეთ თავი მამულს, ღმერთს და პატიოსნებას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დემეტრე

უბრწყინვალესო, ხარ ხალხების იმედის მჩენი,
კრძალვით გისმენენ, შორს განთქმულა სახელი შენი,
ვისი თმენაც და სათნოებაც მტარვალთ აძრწუნებს,
ვისი წამებაც ჩვენს ძალაში დუშმანს არწმუნებს...
ო, მიუტევე საქართველოს, რომ ასე გვიან
გიმოწმებს სალამს, თუმც იქ შენთვის მდუღარეს ღვრიან!
შვილს მიუტევე შენს ბედზე რომ ერთთავად ტირის,
თავისად უჩანს შენი ტვირთიც, მამულის ჭირიც...
...რაც შენ დაგვშორდი, დედოფალო, რა ხშირად შვილნი
დედის გვამებზე დაცემულან! ალვებად შლილნი
ასულნი ძმათა ცივ მარჯვენებს ჩაჰკონებიან, —
სპარსთა მახვილი რამდენ მოყმეს გასწორებია!
მაგრამ მოგვიტანს შენი შვილი თავისუფლებას,
მისი მისრულით თვით სიკვდილი დაისუდრება.
დაგვიბრუნდები — დარდს გაფანტავს შვება-სიამე,
ეს სურს სომხეთსაც — ჩვენებრ ტანჯავს ჟამთა სიავე!
გმინავს ხალხი და ცოცხლობს სახე, იმედი თქვენი,
ღმერთმა ინებოს, დაგვიბრუნოს დიდების დღენი!
მტერი ცოფსა ყრის, კლდეს აწყდება სპარსი ძლიერი,
და გურჯისტანი მას დასცინის ლაღის იერით.
ახლა რუსეთი მოგვეშველა ძმური მარჯვენით,
რომ დაასრულოს შაჰის კარზე ტყვევნა მტანჯველი.
აგერ, მიიღეთ, დედოფალო, ამის დასტური —
უსტარი, რასაც ვერ დასწერდა ცრუ და მაცდური.
ეს თქვენი შვილის ნაწერია, თქვენი ერთგულის,
და მოურავის, განა ვინმე ორპირ შეთქმულის!
თეიმურაზი ხომ თბილისის ტახტზე მან დასვა,
მაგრამ თქვენი ძე მეფედ არ თვლის უთქვენოდ თავსა!

# ქეთევანი

მარტო ის აზრიც, ჩვენს ქვეყანას რომ ჩვენვე ვმართავთ,
ჯვარს მიმსუბუქებს, რაც მოგვანდო ალალთ და მართალთ
მან, ვინც გვაძლევს და გვართმევს ტახტებს...
ჩემგან აღსრულდა,
რაც ჰმართებს ქალსა და დედოფალს, მტერზე აღძრულთა,
მოეთხოვება ერთგულ დედას... და ვიდრე დავალთ,
გული გულობდეს, არ ვემონოთ აროდეს მტარვალთ!
ვიდრე მაქვს ძალა კიდურებში, ძარღვებში სისხლი
და მკერდში სული, — მოძალადე ვერ გამტეხს რისხვით.
თავისუფლება, რითაც ჩემთან მოსულხართ თქვენა,
ადამიანთა ოცნებაა, შვება და ლხენა.
ჩვენ მას დავეძებთ, თუმცა იგი საგანი ფიქრის
არ მოსწონს მტარვალს, ვინც გვბოჭავს და ბორკილებს გვიყრის.
მეფეთა მეფე ჩვენს გამოხსნას როცა ინებებს,
შუქით შეგვმოსავს და სიმართლე ქვეყნად იმეფებს,
თუნდაც გვიპოვნოს აქ სიკვდილმა, მწვედ რომ გვაწამებს,
დიდხანს გვტანჯავს და აღსასრულის წინაც გვაწვალებს.
ჩემთვის წყალობად ისიც კმარა, რაც გვესმა ახლა:
ქვეყნის სიმშვიდე და მის ტახტზე ჩემი ძის ასვლა.
დედა უსურვებს, არ ეჭამოს ჯავრი მტარვალთა, —
ჩემზე სვიანსა, — მამულს ექმნას ხსნად და ფარადა!

გერმანულიდან თარგმნა
აკაკი გელოვანმა

მერი მიდელაური

## თვითშთაგონება

მიაბიჯებენ გამვლელები
დინჯად და ნაზად,
მოყინულ ბილიკს
გვერდს უვლიან
პარჯვნივ და მარცხნივ,
ან ეკუათმყოფელს თუ მოუვა
ოდესმე აზრად,
უხიფათო გზას ამჯობინოს
აშკარა მარცხი?!
მე არა ვბაძავ წინდახედულ
ბედნიერ მგზავრებს,
გულში ცეცხლს ვინთებ
მტკიცე რწმენის გაასკეცებით,
მე იოგივით მივაბიჯებ
პირდაპირ გზაზე
და მჯერა, რომ
არ დავეცემი.

## რიჟრაჟი

ძილქუში აწევს არწივეთს,
ძილშიც წუხს თითო-ოროლა,
— გავწიოთ, მზისკენ გავფრინდეთ, —
ტოროლას უხმობს ტოროლა.
თვალი მშვენებით დატკბება,
ტოროლა აფრებს რომ გაშლის;
მოდით, თვით უკვდავებაც
არ მსურსო მარტოობაში.
აუ! რა გზა გაუვლია,
თითქოს ზღაპრული რაშია,
რა წრფელი სიყვარულია!
რა წმინდა გარიჟრაჟია!

* * *

შენდამი ნდობამ, გაწეწილო ბაბუაწვერავ,
დიდი ხანია ჩაილურის წყალი დალია.
ახლა მე უკვე ლურჯი ღრუბლის
ქულაზე ვწევარ
და გადავყურებ მყინვარებს და
პირქუშ დარიალს.
დაჰქრის ქარი და გულისპირზე მიკოცნის ღილებს,
იქნება მისი გახელებაც ჩემი ბრალია.
მაგრამ რა გიყოთ? მე აქ სულ სხვა ზეცა ვიხილე
და ქარიშხალთან შესახვედრად მიმიხარია.

## მე აქ რა მინდა

მე აქ რა მინდა, როცა რთველია,
ვიდგე და რთველზე ვილაპარაკო?
როცა ვაზები ასე მელიან,
ჩემო სუნთქვავ და იგავ-არაკო.
მელის ვენახი თეთრიც და შავიც,
მე თავად უნდა ავჭრა აკიდო
და შემოქმედის მარჯვენასავით
მარნის კარებზე ფრთხილად დავკიდო.
მეც უნდა ზეცას ისარი ვტყორცნო
და ტკბილი წვენი ხარბად დავლიო,
მერე ჩემს მიწას ვკოცნო და ვკოცნო,
გადავირიო და გადავრიო.
მე აქ რა მინდა, როცა რთველია,
როცა რთველია მე აქ რა მინდა?
მივფრინავ, როგორც ვისი რამინთან.
მე აქ რა მინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალის გული

დიახ, ჩვენ დღეს ქალის გულის საიდუმლოებაზე ვისაუბრებთ. საიდუმლოებაზე, რომელიც პოეტებს, მხატვრებს და მწერლებს კი არა, ექიმებს აღელვებთ:

როგორია ქალის გული? — გაცილებით (10, 15 პროცენტით) პატარა, ვიდრე მამაკაცისა; კუნთოვანი ფენაც მამაკაცის გულის კუნთის ფენაზე ბევრად თხელი აქვს. აი რატომაა, რომ ქალს მამაკაცის თანაბრად შრომა არ შეუძლია.

არის სხვა მიზეზიც, ესაა ჟანგბადის მაქსიმალური ხარჯვა. ქალი წუთში 2,9 ლიტრ ჟანგბადს ხარჯავს, ესე იგი, 30 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე მამაკაცი. კუნთის მაქსიმალური შრომის დროს, მოთხოვნილება ჟანგბადზე თანდათან იზრდება, მაგრამ მიაღწევს თუ არა განსაზღვრულ დონეს, მიუხედავად დატვირთვის კვლავ გაძლიერებისა, ჟანგბადი ველარ მატულობს, რასაც ძლიერი გადაღლა მოსდევს.

მწოლიარე და მშვიდ მდგომარეობაში მყოფი არასპორტსმენი ქალის გული წუთში 5,5 ლიტრ სისხლს გადმოისვრის. მამაკაცებში კი ეს ციფრი 7,8 ლიტრს აღწევს.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ აზრს, რომ ქალი სუსტი სქესის წარმომადგენელია.

ქალის ორგანიზმის განვითარებას ახლავს ორი ისეთი პერიოდი, როდესაც გულ-სისხლძარღვთა სისტემა მეტნაკლებად დათრგუნვილ მდგომარეობაში იმყოფება, ესენია: სქესობრივი მომწიფებისა და მოქმედი ფუნქციების განლევის პერიოდები. მაგრამ, ამ პერიოდებში გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიური ცვლილებები ყველა ქალისათვის აუცილებელი როდია, ქალთა უმეტესობა ორივე პერიოდს უმტკივნეულოდ ან მინიმალური ცვლილებებით სძლევს.

სქესობრივი მომწიფების ხანაში ქალიშვილის ორგანიზმში მნიშვნელოვანი ძვრები ხდება, რაც განპირობებულია ჰორმონალური ცვლილებებით. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ჰორმონალურ ფუნქციათა ცვალებადობა და მასთან დაკავშირებული გულის მოქმედების ნერვული რეგულაციის დარღვევა იწვევს ჩხვლეტას მკერდის არეში, გახშირებულ გულისცემას, სულის ხუთვას, გულის წასვლას, აღგზნებასა და დაქანცულობის გრძნობას.

როგორც წესი, ყველაფერი თავისთავად, ან მცირე დამამშვიდებელი წამლების საშუალებით გაივლის ხოლმე.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სქესობრივი მომწიფების ხანა, ჩვეულებრივ, საშუალო სკოლის გამოსაშვები და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების პერიოდებს ემთხვევა. ყოველივე ეს, ერთად აღებული კი, ორგანიზმისათვის უდიდესი დატვირთვა გახლავთ, რასაც ზოგჯერ გადაღლა ან ნერვული სისტემის გამოფიტვა მოსდევს ხოლმე. სრულფასოვანი კვება, ძილი, სწორი დასვენება, ფიზკულტურა და სპორტი, მშვიდი ოჯახური პირობები, უფროსების, უპირველეს ყოვლისა, მშობლების თბილი დამოკიდებულება აი, ყოველი ის პირობა, რამაც შესაძლოა თავიდან აგვაცილოს გულ-სისხლძარღვთა მოსალოდნელი ნეროზები, ანდა ხელი შეგვიწყოს მათ წარმატებით მკურნალობაში.

ქალის ორგანიზმზე, მის სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებზე არსებით გავლენას ახდენს მენოპაუზა და კლიმაქსი. მენოპაუზა — დედათა წესის დაკარგვა — არის კლიმაქსის საწყისი ფაზა. კლიმაქსის დროს ხდება მომქმედ ფუნქციათა სრული გაქრობა.

უმეტესად, ქალები ამ დროს გრძნობენ სახეში სისხლის მოწოლას, შფუფრებას, თავბრუსხვევას და აჩქარებულ გულისცემას. უჩნდებათ სახსრებისა და კუნთების გაურკვეველი ხასიათის ტკივილი, უძილობა, ემოციური მერყეობა, სხვადასხვა ფსიქიური და ნერვული მოშლილობანი. ეს უკანასკნელი განპირობებულია თითქოს იმით, რომ კლიმაქსთან ერთად ქალს სიბერე უახლოვდება. გულ-სისხლძარღვთა მოშლის ხანგრძლივობა კლიმაქსის პერიოდში სხვადასხვაგვარია. ზოგს რამდენიმე წელსაც შეიძლება გაუგრძელდეს.

უკანასკნელ წლებში შესაძლებელი გახდა ცალკე გამოგვეყო და დაწვრილებით აგვეწერა გულის დაზიანების განსაკუთრებული სინდრომი, რომელიც დაკავშირებულია კლიმაქსთან, ესაა დისჰორმონალური კარდიოპატია. დისჰორმონალური კარდიოპატია ხასიათდება ხანგრძლივი, თითქმის გამუდმებული ტკივილებით გულის არეში, სხეულის ტემპერატურის მცირე მომატებით, ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებებით, რაც მიოკარდის ინფარქტს წააგავს. ხშირად სწორედ კარდიოპატიას, ყველა თავისი შედეგებით, მიიჩნევენ ხოლმე მიოკარდის ინფარქტად. ავადმყოფს ურჩევენ ხანგრძლივ წოლით რეჟიმს, უნიშნავენ სისხლძარღვთა გამაფართოებელ პრეპარატებს და ა. შ.

სწორ დიაგნოზს, დამამშვიდებელი და ჰორმონალური პრეპარატებით მკურნალობას სრულ გამოჯანმრთელებამდე მივყავართ.

მენოპაუზის დროს ქალი ახლობლებისაგან განსაკუთრებულ თბილ დამოკიდებულებას მოითხოვს.

მიუხედავად ყოველივე ზემონათქვამისა, სულაც არ გვინდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მშვენიერი სქესის წარმომადგენლების გულ-სისხლძარღვთა მდგომარეობა მთლად კარგად ვერ იყოს. პირიქით, ქალის ნაზი, მგრძნობიარე გული გულ-სისხლძარღვთა მთელ რიგ სერიოზულ და გავრცელებულ დაავადებათა წინაამდეგ დიდ სიმტკიცეს იჩენს.

დღეს მსოფლიოს მედიკოსები ნომერ პირველ პრობლემად თვლიან ათეროსკლეროზს, კორონარულ უკმარისობასა და მასთან დაკავშირებულ სტენოკარდიასა და მიოკარდის ინფარქტს. ათეროსკლეროზის დროს არტერიის შიდა კედლებზე ილექება ცხიმისმაგვარი ნივთიერებები და ავიწროებს მის სანათურებს, საგრძნობლად აქვეითებს გულის სისხლით კვებას; ადამიანს ეწყება შეტევითი ხასიათის ტკივილი, ზოგჯერ ხდება არტერიის რომელიმე განშტოების სრული დაცობაც. წყდება გულის კუნთისათვის სისხლის მიწოდება. ვითარდება მიოკარდის ინფარქტი.

ყოველივე ეს ქალებს ხუთჯერ, ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფებში კი ოცჯერ ნაკლებად ემართებათ, ვიდრე მამაკაცებს. ამის მიზეზია სქესის თავისებურება. დადგენი-

ლია, რომ ქალის სქესობრივი ჰორმონები ორგანიზმს იცავენ ათეროსკლეროზისა და კორონარული უკმარისობისაგან. დღეს მიოკარდის ინფარქტი ხშირად ემართებათ ახალგაზრდა მამაკაცებსაც, მშვენიერი სქესის ახალგაზრდა წარმომადგენლებში კი ეს დაავადებები თითქმის სულ არ გვხვდება. კლიმაქსის წინა პერიოდში მყოფ ქალებს ზემოთაღნიშნული დაავადებები ათჯერ ნაკლებ უჩნდებათ, ვიდრე მათ თანატოლ მამაკაცებს. მხოლოდ მოხუცებულობის ასაკში აღწევს კორონარული უკმარისობისა და ინფარქტის შეფარდება ორით ერთს მამაკაცსა და ქალს შორის.

ჰორმონალური ფაქტორის გარდა არის კიდევ მიზეზი, რომლის მეოხებითაც მშვენიერი სქესის წარმომადგენელი ნაკლებად ზიანდება მიოკარდის ინფარქტით.

გულის დაავადებები ყველაზე უფრო იმ მამაკაცებს ემართებათ, რომლებიც მჯდომარე ცხოვრებას ეწევიან. ჰიპოკინეზიას (ორგანიზმის მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია ნაკლები ფიზიკური აქტივობით) მამაკაცები მიჰყავს ბიოქიმიურ დარღვევათა კომპლექსამდე, რაც დამახასიათებელია ათეროსკლეროზისა და კორონარული უკმარისობისათვის. ქალს შველის საოჯახო საქმიანობა. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ საოჯახო საქმე თავისი ინტენსიურობით შეეფარდება მსუბუქ, ხშირად საშუალო სიმძიმის ფიზიკურ შრომას.

გულ-სისხლძარღვთა მეორე გავრცელებული დაავადება ჰიპერტონიაა. ამ დაავადების დროს არტერიებში საგრძნობლად მომატებულია სისხლის წნევა, რის გამოც გულს მეტი დატვირთვით უხდება მუშაობა. საერთოდ, ჰიპერტონიით ერთნაირად (5,3 პროცენტი) ავადდებიან როგორც მამაკაცები, ისე ქალები, მაგრამ, ორმოც წლამდე ასაკის მამაკაცებში ეს დაავადება მაინც უფრო ხშირად აღინიშნება, ვიდრე ამავე ასაკის ქალებში. ჰიპერტონიით ქალები ძირითადად 40 წლის შემდეგ ავადდებიან. როგორც ჩანს, თავს იჩენს კლიმაქსის გავლენა, ან მარილიანი საჭმელისადმი მიდრეკილება. ნატრიუმის ჭარბი იონები არტერიის კედლებზე ილექება, იწვევს მათ დაბერვას, რაც დაავადების განვითარების ერთ-ერთ პათოლოგიურ რგოლს წარმოადგენს.

ქალის სისხლძარღვთა სისტემა გაცილებით ნაკლებად ეპუება ანთებას — ენდართერიითს. ეს დაავადება ხასიათდება სიარულის დროს ფეხის წვივების ტკივილით. ამიტომ ავადმყოფი სიარულის დროს იძულებული ხდება შეჩერდეს. ეს დაავადებაც ქალებში ოცჯერ ნაკლებად გვხვდება, ვიდრე მამაკაცებში. მიზეზი კი იგივეა — სქესის ჰორმონალური თავისებურებები. აი, რატომაა, რომ მამაკაცებს ხშირად ქალის ჰორმონებით მკურნალობენ ხოლმე.

ასეთია ქალის გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა თავისებურებები. მათი ცოდნა მამაკაცებისათვისაც სასარგებლოა.

**დ. არონოვი,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

# თევზეულის მომზადება

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ზეთში ჩაშუშული ქარსალა (КИЛЬКА)

ნედლ ქარსალას მოაცილეთ თავი, გამოშიგნეთ და გარეცხეთ. ნახევარი კილოგრამი ქარსალა ჩააწყვეთ ქვაბში ფენა-ფენა და თითოეულ ფენას მოაყარეთ ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი (ოთხი თავი), გემოვნების მიხედვით პილპილის მარცვლები, დაფნის ფოთოლი და მარილი. დაასხით 2-3 სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, სამი სუფრის კოვზი პამიდორის პიურე და ნელ ცეცხლზე შუშეთ შემზადებამდე.

### დამარილებული ქარსალა

დამარილებული, გადარჩეული და გარეცხილი ხუთასი გრამი ქარსალა მოათავსეთ მწყობრად თეფშზე, მოაყარეთ ასი გრამი წვრილად დაჭრილი მწვანე ან თავი ხახვი, მოასხით ერთი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, ორი სუფრის კოვზი ღვინის ძმარი. სუფრაზე მიიტანეთ კარტოფილ-ბოსტნეულის სალათით და მაიონეზით.

### თევზის ფილეს გოზართმა

ერთი კილოგრამი თევზის ფილე გარეცხეთ, დაჭერით საშუალო სიდიდის ნაჭრებად. შვიდი-რვა თავი ხახვი დაჭერით ალყა-ალყა, შეურიეთ წვრილად დაჭრილი ექვსი ძირი ქინძი, ოთხი ძირი ოხრახუში, სამი ძირი კამა, ოთხი ძირი ტარხუნა (შეიძლება გამხმარიც).

ქვაბში მოათავსეთ გამზადებული ხახვ-მწვანილის ნარევის ნახევარი, ზედ დააწყვეთ თევზის ფილეს ნაჭრები, მოაყარეთ გემოზე მარილი და დარჩენილი ხახვ-მწვანილიანი ნარევი, დაასხით წყალი იმდენი, რომ შიგთავსი ოდნავ დაფაროს, დადგით ცეცხლზე და მოხარშეთ. მზა კერძი გადაიტანეთ შესაფერ ჭურჭელში, გემოვნების მიხედვით მოასხით ლიმონის წვენი და მორთეთ ლიმონის ნაჭრებით.

### თევზის ფილეს ბუღლამა

გარეცხილი, საშუალო სიდიდის ნაჭრებად დაჭრილი თევზის ფილე (ერთი კილოგრამი) ერთ ფენად ჩააწყვეთ ქვაბში, დაასხით ორი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი. მეორე ფენად მოათავსეთ წვრილად დაჭრილი რვა ძირი ქინძი და ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, მოაყარეთ დანაყილი პილპილი და მარილი (გემოვნებით), ჩაუმატეთ ერთი დაფნის ფოთოლი, მოასხით ერთი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი. მესამე ფენად მოათავსეთ ნაჭრებად დაჭრილი ექვსასი გრამი პამიდორი ან დაასხით პამიდორის პიურე (ნახევარი ჩაის ჭიქა პამიდორის პიურე გახსნილი ნახევარ ჩაის ჭიქა წყალში), მოასხით ერთი სუფრის კოვზი მცენარეული ზეთი, დაახურეთ ქვაბს სახურავი და ხარშეთ მომზადებამდე.

### ნედლი თევზი ხახვით

გასუფთავებულ, გარეცხილ ნედლ თევზს (ქაფშია, ქარსალა) მოაყარეთ მარილი და ამოავლეთ პურის ან სიმინდის ფქვილში. ორი საშუალო სიდიდის ხახვი დაჭერით წვრილად და მოხრაკეთ მცენარეულ ზეთში, ხახვის მოხრაკვის შემდეგ იმავე ტაფაზე მოათავსეთ თევზი და შეწვით. მოხრაკული ხახვი დააყარეთ გაცხელებულ თეფშზე, მოათავსეთ ზედ შემწვარი თევზი და შემოუწყვეთ მოხარშული ან შემწვარი კარტოფილი და კომბოსტოს მწნილი.

### დაფარშული ნედლი თევზი

გასუფთავებული, გარეცხილი საშუალო სიდიდის ერთი კილოგრამი ნედლი თევზი გაამშრალეთ, მოაყარეთ მარილი და გააჩერეთ ნახევარი საათი.

ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, გემოვნებით წიწაკა და მარილი კარგად დანაყეთ, შეურიეთ ერთი საშუალო სიდიდის ბროწეულის მარცვლები, ორი საშუალო სიდიდის წვრილად დაჭრილი ხახვი, ნახევარი ჩაის კოვზი მიხაკ-დარიჩინი და აურიეთ.

ამ მასალით თითოეულ თევზს გამოუტენეთ მუცლის ღრუ, ამოავლეთ პურის ან სიმინდის ფქვილში და შეწვით მცენარეულ ზეთში.

### მოხარშული თევზი

დაჭერით თითო ძირი სტაფილო, ოხრახუში და ნიახური, ერთი საშუალო სიდიდის ხახვი, დაასხით ერთი ლიტრი წყალი, როცა ადუღებას დაიწყებს, დაუმატეთ სამი მარცვალი პილპილი, ერთი დაფნის ფოთოლი, ორი ჩაის კოვზი მარილი, ადუღეთ 7-10 წუთი და შემდეგ გაწურეთ. ექვსასი გრამი თევზი-კობრი, თავდიდა (НАЛИМ), ფარგა (СУДАК) ზღვის ქორჭილა (ОКУНЬ МОРСКОЙ) ჭერით ნაჭრებად, გარეცხეთ, მოათავსეთ ცხელ გაწურულ ხსნარში და ხარშეთ ნელი დუღილით შემზადებამდე. მოხარშული თევზი ამოალაგეთ ლანგარზე და შეაგრილეთ. სუფრაზე მიიტანეთ მოხარშული კარტოფილით, ბოსტნეულის სალათით ან ქვემოთ აღნიშნული რომელიმე საწებლით.

### ნედლი თევზის საწებლები

1. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ერთი-ორი კბილი ნიორი და მარილი (გემოვნებით) კარგად დანაყეთ, გახსენით წყალში (არაყნის სისქით) და მიიტანეთ მოხარშულ თევზთან ერთად.

2. ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი, ერთი კბილი ნიორი, ერთი პატარა თავი ხახვი, ორი ღერი ქინძი, წიწაკა (გემოვნებით), იმერული ზაფრანა და მარილი კარგად დანაყეთ, გახსენით ნახევარ ჭიქა გაწურულ თევზის ნახარშ წვენში და ნახევარ ჩაის ჭიქა ბროწეულის წვენში. მიღებული საწებელი დაასხით მოხარშულ თევზს და მოაყარეთ თქვენს გემოზე ძალიან წვრილად დაჭრილი ქინძი და ბროწეულის მარცვლები.

3. ნახევარი ჩაის ჭიქა ბროწეულის წვენს შეურიეთ ერთად დანაყილი ნიორი, წიწაკა, ქინძი და დაუმატეთ ძალიან წვრილად დაჭრილი ხახვი.

**თამარ სულაქველიძე**

# რამ აიძულა?



„ვარსკვლავები არ კვდებიან, ისინი მხოლოდ ქრებიან ჩვენი თვალთახედვიდან და თავის არსებობას სხვა ფორმით განაგრძობენ“.

ეს სიტყვები ასტრონომს არ ეკუთვნის და არც ასტრონომიულ ვარსკვლავებზე მოგახსენებთ. ეს გახლავთ ფრანგი თეატრალური კრიტიკოსის სიტყვები, რომელიც მას ახლახან მომხდარმა საოცარმა ამბავმა დააწერინა: საფრანგეთის საზოგადოება და განსაკუთრებით ისინი, ვისთვისაც ძვირფასია თეატრალური ხელოვნება, გააოგნა და შესძრა პარიზის ოპერის პრიმა-ბალერინას მირელ ნეგრეს სცენიდან მოულოდნელად წასვლამ.

მირელ ნეგრემ, სახელგანთქმული ივეტა კიუფირეს მოწაფემ, შესანიშნავი მოცეკვავის — ნერევის პარტნიორმა, მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო „ჟიზელმა“, თაყვანისმცემლებით განებივრებულმა 27 წლის მომხიბლავმა ქალმა, თავისი შემოქმედების გაფურჩქვნის ხანაში ერთ დღეს ლურსმანზე ჩამოჰკიდა თავისი საბალეტო ფეხსაცმელი, თეთრი, ჰაეროვანი კაბა გაიხადა და მონაზვნის კუნკული ჩაიცვა.

დიახ, მირელ ნეგრე მონაზვნად აღიკვეცა!

ნეგრეს ტრიუმფით აქვს შემოვლილი მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მას უწოდებდნენ „ცეკვის ვარსკვლავს“, „კლასიკური ცეკვის დედოფალს“, ის ერთადერთი შვილი იყო თავისი მშობლებისა, რომლებიც მისით სულდგმულობდნენ.

თვით ნერევიც კი აღმერთებდა და პატივს სცემდა მირელს, თუმცა საყოველთაოდ იყო ცნობილი მისი უხიაგი ხასიათი და პარტნიორებთან ჭირვეულობა.

მირელ ნეგრეს არც სიყვარულში განუცდია მარცხი. ერთი სიტყვით, იგი ბედნიერი იყო, როგორიც შეიძლება ბედნიერი ყოფილიყო ადამიანი მის სამყაროში.

და აი ერთ დღეს მან თეატრის მოზეიმე კულისები მონასტერზე გაცვალა, „მისი მწვანე თვალები მონასტრის პირქუშ კედლებში გაუჩინარდა“, — როგორც წერდნენ ხატოვნად ჟურნალისტები.

მთელი თავისი ქონება მირელმა მშობლებს დაუტოვა, უკანასკნელად დაემშვიდობა მათ, დაემშვიდობა სცენის მეგობრებს და წავიდა.

ახმაურდა რადიო, ტელევიზია, პრესა, ხელოვნების ქრონიკაში სპეციალური გვერდები ეძღვნა მსახიობს.

ყველას ერთი აინტერესებს: რამ აიძულა?

ზაირა სტურუა

გარეკანის პირველ გვერდზე — სოციალისტური შრომის გმირი, მეჩაიე ნ ა დ ი ა ჯ ი ნ ჭ ა რ ა ძ ე; მეოთხე გვერდზე — ბორჯომის ხეობა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ძ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის— 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 17/XII — 73 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/I-74 წ. ქაღალდი I. ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 125.000. შეკვ. 3991. უე 01635 ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში ჩატარდა ქალთა 33-ე საკავშირო ჩემპიონატი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა (14 ქულა 19 შესაძლებლობიდან) მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი წილად ხვდა ლვოველ მოჭადრაკეს. სსრ კავშირის ყოფილ ჩემპიონს მარტა შულს (13.5 ქულა) მოსკოველმა ნინო მედიანიკოვამ ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.



ნონა გაფრინდაშვილი



მარტა შული



ნინო მედიანიკოვა



ИНДЕКС 76178